# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 23 ივლისი 2007 №167 (3090) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# თქვენ მაინც!

## ოლიმპმა თავი და ასტანა უმასუანგოდ უნდა გაიტანოს








## ლიგის თასის კობ-იაშვილი მარცვალაძე უკრაინას უჟგოროდმა დაუბრუნა

გუშინ ორ ქართველ ფეხბურთელს ჰქონდა დებიუტი ახალ კლუბში, თუმც ჯერ სანდრო იაშვილზე ვთქვათ, ვისაც დებიუტი კი უნდა ჰქონოდა, მაგრამ თავსხმა წვიმამ გადაუღო: „თუნი" — „სიონის" მატჩი ვერ ჩატარდა.

ალექსანდრე იაშვილმა კი „კარლსრუეში" პირველი ოფიციალური თამაში ჩაატარა, ოღონდ წამგებიანი — გერმანიის ლიგის თასზე „კარლსრუემ" ლევან კობიაშვილის „შალკესთან" 0:1 დათმო, შესაბამისად, ქართველთა ჯახიც ვნახეთ...

კიევის „დინამოდან" უჟგოროდის „ზაკარპატიეში" სამი დღის წინ გადასულმა ოთარ მარცვალაძემ კი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ უკრაინის ჩემპიონატში ითამაშა. ოთარი 76-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე, „ზაკარპატიე" — „ვორსკლა" კი 0:0 დასრულდა.

გუშინ სხვა ქართველებმაც გააგორეს ბურთი, ოღონდ ევროპა არ გადაურევიათ...

# საქართველომ სლოვენია დააპროგრამა — 100:70

საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე მიმდინარე 16 წლამდელ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე პირველი ჯგუფური ეტაპი საქართველოს ნაკრების ბრწყინვალე თამაშითა და სენსაციური გამარჯვებით დასრულდა.

მანამდე ესპანელებისა და იტალიელებისგან ძლეულმა ქართველმა კადეტებმა ჯგუფის ბოლო და უპრინციპულეს შეხვედრაში ყოველმხრივ დაჯაბნეს ამბიციური სლოვენიელები, 100:70 იმარჯვეს და ამ მოგებით ერთბაშად ორი კურდღელი დაიჭირეს — მეორე ეტაპზე გავიდნენ, საჩემპიონო ბრძოლას გააგრძელებენ და, რაც უმთავრესია, აქედანვე გადაჭრეს A დივიზიონში დარჩენის საკითხი.

ელიტაში დარჩენა ჩვენი ნაკრების პროგრამა-მაქსიმუმი იყო და ეს პროგრამა უკვე შესრულებულია.

სლოვენიელთა განადგურებაში ლომის წილი ბექა ჩიკვილაძემ დაიდო 34 ქულით. ტარიელ თავართქილაძემ 19 ქულას 6 მოხსნა და 7 პასი დაამატა. აკაკი დვალიშვილმა კი 12 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა, ხოლო შენგელიას ანგარიშზე 11 ქულა იყო.



# თქვენ მაინც! აჩვენეთ ყაზახებს ყაზახობა


ბოდრი მასუანგას იმედი ვარლამ კილასონიას ყაზახეთში ვერ ექნება

24 ივლისს საქართველოს ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპს" ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრა აქვს ყაზახურ „ასტანასთან". მატჩი კუშტანაიში, „ტობოლის" სტადიონზე გაიმართება, სადაც ცოტა ხნის წინ „ზესტაფონი" შერცხვა და იქნებ ყაზახეთში რუსთაველებმა მაინც ივარგონ.

შევახსენებთ: რუსთავული მატჩი 0:0 დასრულდა.

„ოლიმპს" კუშტანაიში ვერ მიჰყვება კონგოელი თავდამსხმელი ბოდრი მასუანგა, ვისაც პასპორტის პრობლემა ჰქონია.

ამას წინათ გაუწყეთ, რომ გელა ხუბუა გუნდის დატოვებას აპირებდა და ეს ასეც მოხდა — იგი ზუგდიდის „მგლებში" გაანათხოვრეს და, ბუნებრივია, არც ის წავა ყაზახეთში.

ყველა სხვა ფეხბურთელი მწყობრშია და „ასტანასთან" სათამაშოდ იმედიანად მიდიან.

„ოლიმპი" ყაზახეთში დღეს დილით ჩარტერული რეისით გაფრინდა და გუნდს თან გაჰყვა ჩვენი კორესპონდენტი ოთარ მაღლაკელიძე. ასე რომ, იქაურ რეპორტაჟებს უახლოეს ნომრებში შემოგთავაზებთ.

**ნუკრი ლოლაძე**


გიორგი ნემსაძე და კობა ჟორჟიკაშვილი

ნუკრი ლოლაძის ფოტო

# ცხინვალი და უმაღლესი ლიგა უკითხვისნიშნოდ

**კითხვის** ნიშანი შეგვიძლია წავშალოთ — „ცხინვალი" საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ნამდვილად ითამაშებს. ცხინვალელთა მთავარი მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი და კლუბის ვიცე-პრეზიდენტი გიორგი ნემსაძე ფეხბურთელთა შერჩევით აქტიურად არიან დაკავებულნი.

შაბათს „ნორჩ დინამოელზე" „ცხინვალი" „ვიტ ჯორჯია 2"-ს გაეჯიბრა ამხანაგურად და 1:2 დათმო. წინა დღეს კი 0:2 წააგო ახალციხის „მესხეთთან".

ჟორჟიკაშვილმა ოცდაათამდე ფეხბურთელი გამოსცადა.

ჯერ არ ჩქარობენ იმის თქმას, თუ ვინ დარჩება გუნდში, თუმცა გიორგი ნემსაძე ორ დინამოელს, შოთა გრიგალაშვილს და ირაკლი ჩირიკაშვილს საკმაო ხანს ესაუბრა და, სავარაუდოდ, ისინი „ცხინვალში" ითამაშებენ. გუნდთან ერთად არიან სხვა მეტ-ნაკლებად გამოცდილი მოთამაშეებიც: ბესიკ კოდალაევი, გიორგი მემარნიშვილი, მიხეილ ბესარაშვილი, ვალერი გაგუა და მამუკა ღონღაძე.

რამდენიმე დღეში „ცხინვალი" ურეკში აპირებს შეკრებას და ყველაფერი ალბათ მაშინ გაირკვევა. მანამდე კი ნემსაძემ ერთხელაც დაგვიდასტურა, „ცხინვალი" უმაღლესში უეჭველად ითამაშებსო.

**ნუკრი ლოლაძე**

# მუჯირი კრილიას მწვრთნელზე ნაწყენია
## რა გავაკეთო 18 წუთში?

**დავით მუჯირი** სამარის „კრილია სოვეტოვის" კაპიტანია, მაგრამ მაინცდამაინც ბედნიერად ვერ გრძნობს თავს. მასსა და სამარელთა მწვრთნელ სერგეი ობორინს შორის ურთიერთობის ნახდენაზე ეჭვები მაშინ გაჩნდა, როცა ერთ-ერთ მატჩში ობორინმა მუმუ შეცვალა და ჩვენიანი უკმაყოფილო დაჯდა სკამზე, რუსულ პრესაში კი დაიწერა, თითქოს ჩვენიანმა მხარი უხეშად გაჰკრა მწვრთნელს. დათომ დაადასტურა, რომ ობორინზე ნაწყენია — ჩემი აზრით, მიზეზი ისაა, რომ მისი ფავორიტი არ ვარო. „კრილიამ" გუშინწინ 1:3 დათმო „მოსკვასთან" და...



— ბოლო ტურებში „კრილია სოვეტოვი" მუდმივად ხსნის ანგარიშს, მაგრამ მაინც აგებს. როგორც კაპიტანმა, გვითხარით, რა ხდება გუნდში?

— მე-3 წუთზე გავიტანეთ და მალევე გავუშვით, ანუ თამაში ხელახლა დაიწყო. 1:1-ზე „მოსკვა" არ ფლობდა იმხელა უპირატესობას, ჩვენთვის ორი გოლი გაეტანა, მაგრამ ეს ფეხბურთია, ალოგიკური თამაშია. საწყენია, რომ ბოლო ექვს ტურში მხოლოდ ერთხელ მოვიგეთ.

— და მაინც, გუნდი ლიდერთა ჯგუფისგან არც ისე შორსაა...

— როგორ გითხრათ, უკვე შუაში ჩამოვიჩოჩეთ, სადაც ქულათა დიდი სიმჭიდროვეა.

— თქვენს თამაშზე რას იტყვით? ყველა მატჩში ან ძირითადში ხართ და გცვლიან, ან შეცვლაზე შედიხართ...

— არ ვიცი, ეს მწვრთნელს უნდა ჰკითხოთ. ყველა ვარჯიშზე ბოლომდე ვიხარჯები და თუ მწვრთნელი უკმაყოფილოა... ჩანს, მისი ფავორიტი ფეხბურთელი არ ვარ. აი, „მოსკვასთან" კი ბოლოსდა შემიყვანა შეცვლაზე.

— ობორინმა თქვა, მუჯირის შეცვლაზე შეყვანა ტაქტიკური სვლა იყო, ბოლოსთვის ვინახავდით ძალებს, რათა შეგვეტიაო...

— თუ ის თვლის, რომ მე 18 წუთში შემიძლია იმის გაკეთება, რასაც სხვები 90 წუთში ვერ აკეთებენ, რაღა უნდა ვთქვა... ესე იგი, მართლა მაგარი ფეხბურთელი ვყოფილვარ.

— აშკარაა, მწვრთნელზე ნაწყენი ხართ...

— რა თქმა უნდა. ფეხბურთელი, რომელსაც არ სწყინს, რომ შეცვლაზე შეჰყავთ ან ცვლიან, ფეხბურთელი არ არის. ყველას თამაში უნდა, თუმცა მე „კრილიასთან" კონტრაქტი, ანუ მოვალეობები მაკავშირებს, რომელიც უნდა შევასრულო, უნდა ვითამაშო და დავამტკიცო, რომ ძირითადის ღირსი ვარ.

# მგლები ზღვიდან ამოვიდნენ

**ზუგდიდის** „მგლებმა" ურეკული შეკრება დაასრულა და მზადებას შინ აგრძელებს.

ურეკიდან წამოსვლამდე „მგლებმა" ერთი ამხანაგური მატჩიც გამართა, ბოლნისის „სიონთან" 2:1 იმარჯვა.

უგოლო პირველი ნახევრის შემდეგ მეგრელებმა თავი გამოიდეს და ორჯერ გაუტანეს „სიონს": ჯერ გიორგი კრასოვსკიმ დააწინაურა საჯარიმოთი თავისიანები, შემდეგ კი თავი გიორგი ჭედიამ გამოიჩინა.

ბოლნისელმა გიორგი რეხვიაშვილმა ერთი ბურთის გაქვითვა კი მოახერხა, მაგრამ „სიონი" მეტს ველარაფერს გამორჩა.

***მგლები:*** *დევაძე (ივარდავა), ექონია, ფარულავა, მაჭავარიანი (კუტალია), კაკაბაძე, დ. ქირია, ვართაგავა, ჯოჯუა, წურწუმია (ბაკარაძე), კრასოვსკი, ჭედია.*

***სიონი:*** *ბოძღაშვილი, ფრიდოლინი, სვანიძე, ლ. ჭელიძე, რაჭიაშვილი, ბუცხრიკიძე, სანიკიძე, ლ. კაშაკიძე, ბაჯელიძე, ქარდავა, ჩასვამი.*

მეორე ნახევარში ბოლნისელთა მწვრთნელმა ნოდარ აკობიამ ფრიდოლინის, სვანიძისა და ჭელიძის გარდა ყველა დაასვენა. შეცვლაზე კი შევიდნენ: გ. იაშვილი, პაპუაშვილი, ოქროპირიძე, კვიციანი, ჯიმშკარიანი, რეხვიაშვილი.

როგორც აკობიამ გვითხრა, გუნდთანაა ზვიად ქუთათელაძეც, რომელიც ბოლოს ქუთაისის „ტორპედოში" იყო.

**ნუკრი ლოლაძე**

# ლაშა სალუქვაძე: პენალტი და გაძევება ორ წუთში

**ქართველი** ლეგიონერების ამბებს ინტერტოტოს თასიდან დავიწყებთ, სადაც ჩვენთვის საინტერესო ის მოხდა, რომ ლაშა სალუქვაძემ 77-ედან 79-ე წუთამდე ითამაშა. ეს როგორ? ყაზანის „რუბინი" ვენაში „რაპიდს" ხვდებოდა, 1:1 იყო, სალუქვაძე შეცვლაზე შევიდა და ვერ გეტყვით, ბურთს შეეხო თუ არა, რომ გააძევეს. სალუქვაძის წითელს პენალტის დანიშვნაც მოჰყვა...

ყაზანელებს მანამდე ერთი კაცი უკვე ჰყავდათ გაძევებული და საბოლოოდ 1:3 წააგეს. ინტერტოტოზევე ოდესის „ჩერნომორეცი" შინ 0:0-ზე გაეყარა ფრანგულ „ლანსს", კახა მჟავანაძე კი შეუძლოდ იყო და ამიტომ ვერ ითამაშა.

რუსულ პრემიერლიგაში „კრილიამ" 1:3 დათმო ერთ-ერთ ლიდერ „მოსკვასთან", სამარელთა ქართველმა კაპიტანმა **დავით მუჯირმა** კი ბოლო 18 წუთი ითამაშა.

უკრაინაში მეორე ტური იყო და ზაპოროჟიეს „მეტალურგმა" კვლავ მოიგო: ამჯერად სტუმრად „კრივბასს" 1:0 სძლია და დავით კვირკველიამ საგოლე პასი გააზერხა. ქართველმა მარცხენაფლანგელმა წინა ტურშიც იკისრა ასისტენტობა. რაც შეეხება ზაპოროჟიელთა მეორე ქართველ **ირაკლი მოდებაძეს**, მან დუბლებში ითამაშა და გოლიც გაიტანა — საინტერესოა, რამდენ ხანს გააჩერებენ ირაკლის „მეტალურგის" დუბლებში...

ლუგანსკის „ზარიამ" შინ 3:2 აჯობა „მეტალისტს", ერთი საგოლე პასი კი **ლადო ბურდულზეა**. ჩვენიანმა 75 წუთი იბურთავა, „ზარიას" მეორე ქართველი **გიორგი ციმაკურიძე** კი დუბლებში გაისარჯა.

დნიპროელ **ჯაბა კანკავას** პირველ ტურში არ უთამაშია, „ხარკოვთან" გასვლით მატჩში კი 65-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე. დნეპრისპირელებმა 2:1 იმარჯვეს.

ვასილ გიგიაძის „ნეფტიანიკმა" დონეცკის „შახტარს" ვერ გაუძლო და 0:3 წააგო — ვასო 90 წუთი მინდორზე იყო.

ავსტრიის მაქსბუნდესლიგაში ორი ფრის შემდეგ მოიგო გიორგი შაშიაშვილის „შტურმმა", რომელმაც „ლინცერი" 4:0 გაანადგურა. „შაშიმ" სრულად ითამაშა, „შტურმი" კი სამი ტურის შემდეგ ლიდერებშია...

**ილია ნანობაშვილი**




## ნახტომი

ამ ჩამომცხარზე ისევ იმის მოლოდინში ვართ, გადალახავენ თუ არა ქართული გუნდები პირველ ევროპულ ბარიერს. რა თქმა უნდა, გრანდები ჯერ არ გვხვდებიან, მაგრამ დღევანდელ ფეხბურთში და არა მარტო ფეხბურთში ტყუილად და იოლად არავინ არაფერს იძლევა, არც ის პაწაწინა, მაგრამ კარგად ორგანიზებული კლუბები, რომლებთან ჭიდილიც ჩვენს სამ გუნდს უჭირს.

რუსთაველების უგოლო საშინაო ფრე და „ამერის" ორბურთიანი გასვლითი მარცხი მძიმე ბრძოლების მოლოდინისკენ განგვაწყობს, მძიმე ბრძოლაში კი სწორი თამაში და იღბალი ხშირად მხარდამხარ თუ არ არიან, საქმე კიდევ უფრო რთულდება.

მეტი სასუნთქი აქვს თბილისის „დინამოს", რომელმაც ლიხტენშტაინელებს შინ ორი ბურთით მოუგო და მეორე ტაიმში ლამაზი მომენტებითაც გაიბრწყინა.

ზოგჯერ კი ვფიქრობ ხოლმე, რომ ქართულ კლუბებს სწრაფი განვითარება სჭირდებათ, ძალიან სწრაფი. რაღაც რევოლუციური ნახტომი. ბოლო ორ-სამ წელიწადში მოწინავე კლუბებში უკეთესობა ნამდვილად არის, მაგრამ ნახტომის აუცილებლობა უკვე შეიგრძნობა.

როგორ უნდა მოხდეს ეს ნახტომი?

ამისა, სიმართლე რომ გითხრათ, ჯერ ხეირიანად არაფერი ვიცი და რომც ვხედავდე რაღაც სურათებს, ცოტა ძნელი მოსათხრობია. ერთი ის ვიცი, რომ ეს კომპლექსური და საერთო ამბავი უნდა იყოს — ლიგა უნდა გაძლიერდეს.

იმას კი არ ვამბობ, რომ ერთ სეზონში ერთი გუნდი უკეთ გამოიყურება, ვიდრე მეორე, არამედ ნამდვილ და სწორად გამართულ მეურნეობებს. რახან ევროპას ვეკუთვნით, იმიტომ ვფიქრობ ამ ნახტომზე, თორემ ორ გაბონელ ბიჭზე, რომელთაგან ერთმა კარგი გოლი გაიტანა ხუთშაბათს, მეორე კი კარგად დადგა კარში, ისედაც ყველა ალაპარაკდა, ძლივს ნორმალური ლეგიონერები გამოჩნდნენო. ოღონდ, გაბონს სხვა მიზნები აქვს, ჩვენს საკლუბო და სანაკრებო ფეხბურთს კი სხვა.

ამიტომ დროა, რომ ნახტომზე ვიფიქროთ...

ხომ გახსოვთ, როგორ ეუბნება ფრიდონ დოლაბერიძე მამის ფელას, ნახტომი არ მივარგაო. მერე გაირკვევა, რომ უვარგა.

უბრალოდ, მისი პოვნაა საჭირო.



# გახსოვდეს სტანდარტული და იყავი არასტანდარტული

## ჩიხრაძემ იცის, რომ პოლონელებმა იციან...

**პოლონეთიდან დაბრუნებულმა „ამერმა" სრული შემადგენლობით გუშინ განაახლა ვარჯიში და საქართველოს ჩემპიონატისა და „გკს ბელხატუვთან" საპასუხო მატჩისთვის მზადება. შეგახსენებთ, „ამერს" ათი დღის შემდეგ „მიხეილ მესხზე" ურთულესი საქმე ექნება გასაკეთებელი — „ყვითლებმა" პოლონურ გუნდს ორბურთიანი სხვაობა უნდა გაუბათილონ. ეს ორბურთიანი სხვაობა კი „ბელხატუვმა" წინა ხუთშაბათს ჩვენების ორი უხეში შეცდომის წყალობით მიიღო. „ამერის" მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძესთან ინტერვიუც სწორედ ამ შეცდომებზე საუბრით დავიწყეთ და მერე ზოგადად ბელხატუვურ მატჩზეც ვთქვით...**

— „ბელხატუვთან" წაგების უმთავრესი მიზეზი ის ორი შეცდომაა, რის შედეგადაც მასპინძლებმა ორი გოლი გაგვიტანეს. სტანდარტული მდგომარეობისას დაშვებული შეცდომები ძვირად დაგვიჯდა. მაგალითად, „ბელხატუვის" პირველი გოლისას დამრტყმელის ახლოს ორი ჩვენი მცველი დგას, მაგრამ დარტყმის მომენტში მას ხელი ვერც ერთმა შეუშალა. თითქმის იგივე მოხდა მეორე გოლის დროსაც. ფეხბურთელებმა კონცენტრაცია დაკარგეს, მოდუნდნენ და მეტოქემ ამით მყის ისარგებლა. ეს იყო უხეში შეცდომების და უყურადღებობის გამო წაგებული მატჩი.

**— თქვენ ამ მატჩამდე „ბელხატუვის" თამაშების რამდენიმე ფირი ნახეთ. იმ მატჩებისას პოლონელები სტანდარტულებს ისე არ ასრულებდნენ, როგორც ეს „ამერთან" გააკეთეს? ანუ არ იცოდით, რომ „ბელხატუვს" ჯარიმისას თუ კუთხურისას შორეულ ძელთან შეიძლებოდა ჩაეწოდებინა ბურთი?**

— არც ერთი გუნდი სტანდარტულებს ერთფეროვნად არ ასრულებს. მოულოდნელობის ეფექტი რომ მეტი იყოს, გუნდი თითქმის ყველა კუთხურსა თუ ჯარიმას სხვადასხვანაირად იყენებს. ჩვენთან მატჩის დროსაც ასე იყო, „ბელხატუვმა" ბურთი წინა ძელთანაც ჩააწოდა, საჯარიმოს შუაშიც და შორეულ ძელთანაც. სამწუხაროდ, მცველებმა ყურადღება მაშინ მოადუნეს, როცა ბურთი იმ ზონაში ეშვებოდა, საიდანაც დარტყმასა და გატანას დიდი ოსტატობა არ სჭირდებოდა.

**— არადა, პირველ ტაიმში „ბელხატუვმა" სამი-ოთხი კუთხური ჩააწოდა და მცველებს ბურთი უპრობლემოდ გამოჰქონდათ, ხიფათი არც ჯარიმებს მოჰყოლია...**

— ზოგადად, პირველი ტაიმი გუნდმა შედარებით უკეთ ითამაშა. ტაქტიკური მონახაზის მიხედვით ჩვენ ყრუ დაცვაში არ უნდა ჩავმჯდარიყავით. პირიქით, როცა ბურთი მეტოქის ნახევარზე იქნებოდა, იქვე პრესინგი გვქონდა განზრახული. ამით „ბელხატუვს" ბურთის გაკონტროლების საშუალებას მოვუსპობდით და საგოლედაც მეტი შანსი მოგვეცემოდა. პირველი ტაიმი 0:0 დამთავრდა და მეტოქეს ჩვენს კართან რეალური მომენტი არც შეუქმნია. შესვენებაზე ბიჭებს ცოტა უფრო თამამად, გაბედულად თამაში მოვთხოვე, თუმცა, ცხადია, საკუთარი კარი არ უნდა დაგვევიწყებინა. იმ დროს ჩვენთვის მთავარი კარის მშრალად შენახვა იყო. მეორე ტაიმიც „ამერის" გარკვეული უპირატესობით დაიწყო, მაგრამ ერთი შეცდომით ყველაფერი გაუფერულდა, პრობლემები შეგვექმნა და ბიჭებსაც შინაგანი ნერვიულობა მეტად დაეტყოთ.

**— „ბელხატუვი" ისეთი გუნდი გამოდგა, როგორსაც ელოდით?**

— „ბელხატუვის" მოსამზადებელი პერიოდის ამხანაგური მატჩების ფირები ვერ ვნახეთ, თუმცა წინა სეზონის ბევრი შეხვედრა გავარჩიეთ. პოლონელთა თამაში შინაარსით ჩვენთანაც თითქმის იგივე იყო, რაც ფირებზე ვნახე. მხოლოდ შემადგენლობაში ჰქონდათ ცვლილებები, ორი ახალი ფეხბურთელი, მცველი და ნახევარმცველი ჰყავდათ დამატებული. თუმცა რა გამოვიდა... მეტოქე შესწავლილი კი იყო, მაგრამ ორმა უხეშმა შეცდომამ ყველაფერი წყალში ჩაყარა.

**— ცხადია, ჯერ კიდევ უნდა იფიქროთ, მაგრამ მაინც, როგორ გგონიათ, ასეთი ანგარიშის შემდეგ „ბელხატუვი" თბილისში დაცვაში ჩაჯდება?**

— არა მგონია, „ბელხატუვი" საპასუხო მატჩისას ერთი გოლის გატანას და საქმის კიდევ უფრო გაიოლებას ეცდება. არ ვამბობ, რომ პოლონელები შემტევ ფეხბურთს ითამაშებენ, თუმცა ჩვენი სისუსტეების გამოყენებით გარკვეულ მომენტებში შეტევას ალბათ არ მოერიდებიან. იმ გუნდს, რომელსაც უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე თამაშის პრეტენზია აქვს და „ბელხატუვიც" სწორედ ასეთია, კარგად ეცოდინება, რომ მხოლოდ დაცვაში თამაშით არაფერი გამოუვა და ამით მეტოქეს დიდ ფსიქოლოგიურ უპირატესობას მისცემს.

**— „ბელხატუვში" ყველაზე სახიფათო რომელი ფეხბურთელია?**

— თუ უყურადღებოდ ითამაშე, მეტოქის ყველა ფეხბურთელი სახიფათო იქნება. ისე კი, ჰონდურასელი კოსტლი კარგი თავდამსხმელია, ჩაწოდებული ბურთების მოგება და პარტნიორების ხელსაყრელ პოზიციებზე დატოვება შეუძლია. ასევე ძლიერია მეორე თავდამსხმელი უჯეკი, რომელიც თავითაც კარგად თამაშობს და ბურთის შენარჩუნებაც იცის. სახიფათოა მარჯვენა ნახევარმცველი ვრობელიც.

**— საპასუხო მატჩისას „ამერმა" რა კოზირი შეიძლება გამოიყენოს?**

— ჩვენთვის სასარგებლო იქნება არასტანდარტული გადაწყვეტილებები. ამიტომაც სხარტი და ტექნიკური პასები ეფექტური უნდა გამოდგეს. შესაძლოა, „ბელხატუვის" მცველებს ასეთი პასები გაეპაროთ და ეს ჩვენთვის შედეგიანი აღმოჩნდეს.

**— მეორე მატჩისას „ამერის" შემადგენლობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს უნდა ველოდოთ?**

— ამას ჯერ ვერ გეტყვით, თუმცა შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები ალბათ იქნება.

**კობა ინასარიძე**

# ვიტელებმა უკრაინა მარცხით დაიწყეს

**თბილისის** „ვიტ ჯორჯია" მეორე მოსამზადებელ ეტაპს უკრაინაში გადის და ვარჯიშთან ერთად ტესტ-მატჩებსაც მართავს.

ვეტერინართა პირველი მეტოქე მეორე ლიგის „ტიტანი" გახლდათ. მატჩი უკრაინელთა გამარჯვებით დასრულდა — 4:3.

უხვგოლიანი მატჩის საწყისი და ბოლო წუთები „ტიტანისა" იყო და ამ მონაკვეთში გადაწყვიტეს კიდეც მათ შეხვედრის ბედი. უკვე 22-ე წუთისთვის „ტიტანი" 2:0-ს იგებდა. „ვიტ ჯორჯია" ამის შემდეგ გამოფხიზლდა, ჯერ ვასილ ლუჭაშვილმა გააცუდა ასპროცენტიანი მომენტი, ტაიმის ბოლოს კი ლუკა რაზმაძემ ეფექტური დარტყმით გაქვითა ერთი ბურთი.

მეორე ტაიმი „ვიტ ჯორჯიას" უპირატესობით დაიწყო. გიგა ბეჭვაიას ზუსტ თავურს გიორგი ბერიაშვილმაც მიაყოლა გოლი და 65-ე წუთისთვის უკვე ვეტერინარები დაწინაურდნენ — 3:2.

მერე ქართველები დამშვიდნენ და მეტოქეც გააქტიურდა. ბოლო წუთებში გრიგოლ ბედიაშვილს ორჯერ მოუხდა ბურთის საკუთარი კარიდან გამოტანა — „ვიტ ჯორჯიამ" უკრაინული შეკრება მარცხით დაიწყო.

ნესტორ მუმლაძემ „ტიტანთან" გუნდი ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ადამაძე, ლომაია, მელქაძე, რაზმაძე (მაისაშვილი 86), კლიმიაშვილი (სახოკია 27), გ. დათუნაიშვილი, კვალიაძე (ინჯგია 16), ბეჭვაია (კიკნაძე 55), ლუჭაშვილი (ბერიაშვილი 46).*

მორიგ ტესტ-მატჩს „ვიტ ჯორჯია" დღეს გამართავს. მათი მეტოქე პირველლიგელი „კრიმტეპლიცა" იქნება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გკს ბელხატუვი სუპერი ვერ არის

**„ამერის"** საუეფასთასო მეტოქემ, პოლონურმა „გკს ბელხატუვმა" გუშინ ქვეყნის სუპერთასი დათმო — ორესტ ლენჩიკის შეგირდებმა ჩემპიონ „ზაგლებესთან" 0:1 წააგეს.

მატჩის ერთადერთი გოლი 25-ე წუთზე ზაგლებელმა მიხალ გოლინსკიმ გაიტანა.

ლენჩიკმა „ამერთან" 2:0 მოგებული მატჩისგან განსხვავებით გადახალისებული შემადგენლობა ათამაშა, თუმც მეტოქეს ვერას გამორჩა და ეს უკვე ზედიზედ მესამე ტიტულია, რაც „ბელხატუვმა" ბოლო ორ თვეში დათმო — აქამდე ამ გუნდმა პოლონეთის ლიგის თასი და ჩემპიონობა დაკარგა.

აქვე „ბელხატუვის" გუშინდელი შემადგენლობაც: *საპელა, ჟერა, მაგდონი, გრომცკი, კომოროვსკი, სანჩესი, სტრაკა, რახვალი (პოზნიაკი 82), ვრობელი, უჯეკი, კოსტლი (ტომსიკი 71).*

**ბახა შალამბერიძე**

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელ გიორგი დემეტრაძის დონეცკის „მეტალურგიდან“ კიევის „არსენალში“ გადასვლას უკრაინაში ერთ-ერთ ყველაზე ხმაურიან ტრანსფერად მიიჩნევენ. 31 წლის შემტევისთვის კიევის „დინამოსა“ და „მეტალურგის“ შემდეგ „არსენალი“ მესამე უკრაინული გუნდია. ჩვენებურმა უკვე მოახერხა ორი მატჩის ჩატარება და ორივე თავისი ყოფილი გუნდების წინააღმდეგ — „მეტალურგთან“ 1:3, „დინამოსთან“ 2:2.
დემე მანამდეც ხშირად იყო ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში და „არსენალში“ გადასვლის შემდეგ მასთან საუბარი კიდევ უფრო აქტუალური გახდა...



# დემეტრაძე ნობელის პრემიის ლაურეატს გამალებით ეძებს

— როგორ გამოჩნდა „არსენალის“ ვარიანტი?

— მათი დაინტერესების თაობაზე „მეტალურგის“ ხელმძღვანელობისგან გავიგე. შემდეგ ტელეფონით ალექსანდ ზავაროვს ვესაუბრე, კიევში გამოვფრინდი და კლუბის ხელმძღვანელობას შევხვდი. დავრწმუნდი, რომ ამბიციური გუნდის გაკეთებას აპირებენ და ორწლიანი კონტრაქტიც გავაფორმე.

— გამოდის, „არსენალში“ გადასვლას უკანგადადგმულ ნაბიჯად არ თვლით?

— ასე რომ მეფიქრა, არც გადმოვიდოდი. „არსენალს“ ამბიციური პრეზიდენტი ჰყავს, რომელმაც გუნდს სერიოზული ამოცანები დაუსახა.

— ბოლო ნახევარი წლის მანძილზე „მეტალურგში“ თითქმის არ გითამაშიათ, საქართველოს ნაკრებში კი რეგულარულად გიწვევდნენ...

— ეს თავად მიკვირს. ნაკრებში მუდმივად ვთამაშობდი, „მეტალურგში“ კი ამის საშუალება არ მქონდა. ბანალური ისტორიაა — კო ადრიანსეს ხელში უფრო ვწვალობდი, ვიდრე ვთამაშობდი.

— თვლით, რომ „მეტალურგში“ გატარებული წლები თქვენთვის არასასიამოვნო იყო?

— არანაირად. ეს ერთ-ერთი საუკეთესო წლები იყო ჩემს კარიერაში. ამ გუნდზე მუდამ კარგი მოგონებები დამრჩება. რომ მთხოვოთ, ცუდს ვერ გავიხსენებ. კარგი ბაზა, შესანიშნავი პარტნიორები...

— „მეტალურგის“ და „არსენალის“ მოსამზადებელ ეტაპებს შეადარებ?

— თითქმის ერთნაირია. „არსენალის“ ბაზა ტყეშია, სუფთა ჰაერზე. მართალია, „მეტალურგის“ მსგავსად, 5-6 მოედანი არ აქვს, მაგრამ მოსამზადებლად ყველანაირი პირობაა. არც შემადგენლობით ჩამოუვარდება „არსენალი“ სხვა გუნდებს.

— აქ გადმოსვლაზე ყოფილ არსენალელთან, ჯაბა კანკავასთან ხომ არ გისაუბრიათ?

— არა. სხვათა შორის, კანკავაც და ლაშა ჯაკობიაც ალექსანდრ ზავაროვის ხელში კარგად თამაშობდნენ. ასევე კარგად გამოიყურებოდა ოთარ მარცვალაძეც, რომელიც აქ გასინჯვაზე იყო.

— „არსენალში“ ბევრი ახალწვეულია, გამონახეთ მათთან საერთო ენა?

— რა თქმა უნდა. სიმონენკოსთან ერთად ჯერ კიდევ ვლადიკავკაზის „ალანიაში“ ვთამაშობდი, ზაკარლიუკასთან ერთად — „მეტალურგში“. გუნდში მეგობრული ატმოსფეროა. ვფიქრობ, ეს შეგვაძლებინებს იმ ამოცანების გადაწყვეტას, რაც გუნდს დასახული აქვს.

— რა შანსები აქვს წლეულს „არსენალს“?

— ექვსეულში უნდა შევიდეთ. მეტის გამოცნობას არ შევეცდები — მეშინია, არ შევცდე. კარგია, რომ პრეზიდენტი გუნდისგან ევროტურნირების საგზურს ითხოვს.

— ვადიმ რაბინოვიჩმა თქვა, რომ ყველა ფეხბურთელს კონტრაქტში ბონუსით გათვალისწინებული თანხა უწერია. მისი მატება სატურნირო ადგილის მიხედვით მოხდება...

— ასეთი პრაქტიკა უმაღლესი ლიგის ბევრ გუნდშია. ღმერთმა ქნას, უეფას თასის საგზური მოვიპოვოთ. არა მგონია, ასეთ შემთხვევაში ხელმძღვანელობამ ფეხბურთელებს აწყენინოს.

— „მეტალურგში“ თამაშისას უკრაინის საუკეთესო ბომბარდირი გახდით. შეგიძლიათ თუ არა, იგივე „არსენალში“ გაიმეოროთ?

— ჩემთვის გუნდის ინტერესები გაცილებით მაღლა დგას. სულაც არ გამიხარდება, თუ ბომბარდირი გავხდები, „არსენალი“ კი დასახულ ამოცანას ვერ შეასრულებს.

— 2001 წელს „დინამოდან“ „სოსიედადში“ რომ გადახვედით, თუ ფიქრობდით, რომ ისევ კიევში მოგიხდებოდათ დაბრუნება?

— ფეხბურთელის ბედი ისეთია, რომ ბოლომდე არასოდესაა დარწმუნებული, სად იქნება ხვალ. რა თქმა უნდა, დედაქალაქში უკეთესია, ვიდრე პერიფერიაში. კიევი ევროპული დონის ქალაქია და მოხარული ვარ, რომ ისევ აქ მომიწია გადმოსვლამ.

— ბინა „დინამოში“ თამაშის შემდეგ დაგრჩათ?

— არა. „სოსიედადში“ გადასვლისთანავე კიევში უძრავი ქონება ვიყიდე. მინდოდა, რომ ამ ქალაქთან რაღაც კავშირი მქონოდა.

— თქვენმა მეგობარმა კახა კალაძემ თქვა, რომ კარიერის დასრულების შემდეგ კიევში იცხოვრებს...

— ასეთი სურვილი მეც მაქვს. ცნობისთვის: ჩემი ბინა ადრე კახას ეკუთვნოდა, უფრო ადრე კონსტანტინ მელაძეს. ვფიქრობ, მისი ბოლო მფლობელი მე ვიქნები: კიევიდან წასვლას არ ვაპირებ — არც სახლის გაყიდვას.

— საქართველოს ნაკრებზეც უნდა გკითხოთ: გუნდში ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან, რომლებიც ევროპის წამყვან კლუბებში თამაშობენ, ნაკრებმა კი ყველა შესარჩევი ეტაპი ჩააგდო...

— ამას ვერავინ ხსნის. თუ მოიძებნა ვინმე ასეთი, პირდაპირ ეკუთვნის ნობელის პრემია. თავადაც გაკვირვებული ვარ, რატომ ხდება ასე. ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი გვყავს, შესანიშნავი მწვრთნელი... ისე, შესაძლოა, უკრაინის ნაკრებთან მატჩისთვის სხვაგვარი განწყობით გამოვიდეთ.

— რატომ? დარჩენილი მატჩები ხომ ფორმალობად გექცათ?

— პირველ რიგში ქვეყნის პრესტიჟია, ამიტომ ვიბრძოლებთ, რაც შეიძლება, მაღალი ადგილის დასაკავებლად. თუ უკრაინის ნაკრებს ქულები წავართვით, იგივეს გავუკეთებთ თქვენს კონკურენტებს.

— შესარჩევი ციკლის დაწყების წინ შოთა არველაძემ განაცხადა, რომ ჯგუფში ფავორიტები საფრანგეთი, იტალია და უკრაინა არიან. ეთანხმებით მას?

— აბსოლუტურად. შოტლანდიას სერიოზულ ფავორიტად ვერ ალვიქვამ. იმის მიუხედავად, რომ ახლა მესამე ადგილზეა, მას ჯგუფიდან გასვლის ნაკლები შანსი აქვს. დღემდე ვერ ვივიწყებ, როგორ გავუშვით მათთან ხელიდან ფრე გლაზგოურ მატჩში.

— თქვენი აზრით, უკრაინის შანსები როგორია?

— პირადად მე, ისევე, როგორც ყველა ქართველს, მინდა, თქვენი გუნდი ავსტრია-შვეიცარიაში გაემგზავროს. უკრაინელთა მთავარი კონკურენტი იტალიაა. ვთვლი, რომ ფრანგები ერთი თავით მაღლა დგანან იტალია-უკრაინაზე, ამიტომ ჭიდაობა თქვენ მოგიწევთ. შოტლანდია კი საქართველოზე ძლიერი არაფრით არ არის.

# იაშვილმა გოლიანი დებიუტი გაანიავა

**შაბათს** გერმანიის ლიგის თასის მეოთხედფინალურ მატჩში „კარლსრუეს“ მაისურა პირველად მოირგო ალექსანდრე იაშვილმა და შეეძლო, დებიუტი გოლით აღენიშნა, მაგრამ, გერმანული ვებგვერდების ცნობით, კარგი მომენტი გაანიავა.



ანგარიშის გახსნა „კარლსრუეს“ მანამდეც შეეძლო, როდესაც ლევან კობიაშვილმა საჯარიმოში ედმუნდ კაპლანი დასცა, თუმც ტამაშ ჰაინალმა პენალტი ვერ გაიტანა.

მომენტების გამოუყენლობის გამო „შალკემ“ მეტოქე დასაჯა და ჰალილ ალტინტოპმა გამარჯვების გოლი გაიტანა.

კობიაშვილმა სრულად ითამაშა, იაშვილი კი 62-ე წუთზე შეცვალეს.

გელზერკირხენელები ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც მათ „ნიურნბერგი“ ელის.

მეორე ნახევარფინალში „შტუტგარტი“ და „ბაიერნი“ დაწყვილდნენ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

# გვაზავამ გააგრძელა, ამისულაშვილს აგრძელებენ

**ნალჩიკის** „სპარტაკმა“ კონტრაქტი გაუგრძელა ლევან გვაზავას, ვისაც ხელშეკრულება 1 აგვისტოს ეწურებოდა. ამასთან, ყაბარდოული კლუბი კიევის „დინამოსთან“ მოლაპარაკებებს აწარმოებს ალექსანდრე ამისულაშვილის იჯარის ვადის გაგრძელებაზე — თვითონ ფეხბურთელს ნალჩიკში დარჩენა სურს და, როგორც „სპარტაკის“ ხელმძღვანელობა ამბობს, კიეველებთან დღე-დღეზე მიაღწევენ შეთანხმებას. ის კი არა, ყაბარდოელები ამისულაშვილის გამოსყიდვას გეგმავენ.

მას შემდეგ, რაც ქართველი მცველი ნალჩიკში კარგად ათამაშდა და დაცვის ლიდერი გახდა, უკრაინულმა კლუბმა ამისულაშვილის ფასი გაზარდა, თუმც ნალჩიკელები ამას სულაც არ დაუფრთხია.

ილია ნანობაშვილი

# ჯაკობია გაძლებაზე მოვიცდი და წავალ

**როგორც** ჩანს, ლაშა ჯაკობია ოთხი თვით ისევ ხარკოვის „მეტალისტში“ დარჩება, თუმც ძირითადში თამაში ელირსება თუ არა, მწვრთნელ მირონ მარკევიჩზეა დამოკიდებული. ქართველ ფეხბურთელსა და კლუბს შორის შავი კატა დიდი ხანია, დარბის.

ჯაკობიას „მეტალისტთან“ კონტრაქტი უმთავრდება და ახალ ხელშეკრულებას სთავაზობენ, მაგრამ ჩვენებური უარობს. ამის გამოა, სარეზერვო გუნდში რომ გადაიყვანეს, სადაც ლაშამ გოლიც გაიტანა და ერთხელ ხარიხაც შეაზანზარა.

გუშინ ჯაკობიას ხარკოვში შევეხმიანეთ...

„ვატყობ, ფორმაში ვარ. ამას კლუბის ხელმძღვანელოაბაც ხედავს და კონტრაქტს გაგრძელებას მთხოვს — ორწლიან კონტრაქტს მთავაზობენ, მაგრამ ამდენზე დათანხმებას ვერ ვრისკავ. ამაზე გაბრაზებულნი დუბლებში მათამაშებენ და არც მყიდიან, დიდ თანხას ითხოვენ. ცოტას გავუძლებ, ალარაფერი დარჩა“ — გვითხრა ჯაკობიამ.

მიხეილ ჟორჟოლიანი



# შილდსის საქართველო ბულგარეთით იწყებს

**საქართველოს** ეროვნული ნაკრები ბულგარეთშია და დღეს საერთაშორისო ოთხთა ტურნირის გახსნის მატჩში ამ ქვეყნის ნაკრებს ეთამაშება. კენ შილდსის გუნდი სოფიაში შაბათს, გვიან ღამით გაემგზავრა, მანამდე კი დილმის ბაზაზე ბოლო საჩვენებელი ვარჯიში გამართა.

რაც 18 აგვისტოს 10 მოთამაშით შეიკრიბა, მას მერე ნაკრებს მხოლოდ 3 მოთამაშე შეუერთდა — ლაშა გამყრელიძე, ზაზა ფაჩულია და ვიქტორ სანიკიძე. შილდსის სამწყსომ ისე მოილია ოთხდღიანი თბილისური შეკრება, რომ სრულ შემადგენლობას მაინც ვერ მოუყარა თავი. თუმც თბილისს ვინ ჩივის, ჯერ ისიც უცნობია, თუ როდის და სად შეუერთდებიან ნაკრებს ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ტაირონ ელისი და ვლადიმერ ბოისა. ეს უკანასკნელი, შესაძლოა, საერთოდ არ იყოს შესარჩევ მატჩებზე და თუ რატომ, ამას წერილის ბოლოს მთავარი მწვრთნელის ინტერვიუდან შეიტყობთ.

ნიკოლოზ ცქიტიშვილს, სავარაუდოდ, 24 ივლისს თბილისში ელოდებიან კალათბურთის ფედერაციის შეფები, რათა ბულგარული ვიზა გაუკეთონ და ნაკრებს დაეწიონ. რაც შეეხება ელისს, კაცი გაბედნიერდა და დღეს ქორწილი აქვს, რასაც გულითადად ვულოცავთ. რამდენი ხანი გაუგრძელდება ელისს თაფლობის თვე, უცნობია, ჩვენ კი ვისურვებთ, რომ ის ძალიან მოკლე ყოფილიყოს და „ტაი" მალე შეერთებოდეს საქართველოს ნაკრებს.

ბოლო თბილისურ ვარჯიშს 13 მოთამაშე ესწრებოდა. 11 მოედანზე, ხოლო ვახტანგ ნაცვლიშვილი და ვიქტორ სანიკიძე ტრიბუნიდან ისმენდნენ კენ შილდსის შეგონებებს. ვატოს ქრონიკულად მტკივანმა მუხლმა შეახსენა თავი და იგი მოერიდა დატვირთვას, ხოლო სანიკიძეს ის კოჭი სტკივა, რომელიც სოლტ ლეიკ სიტის საზაფხულო ლიგაზე დაიშავა.

შევედი თუ არა დარბაზში, თვალში ზორბა მუქკანიანი მოთამაშე მომხვდა. ნეტა ახალი ამერიკელი თუ შეიმატეს-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ განვლო ამ გაუგებრობის წამებმა და იმ „უცნობში" ზაზა ფაჩულია ამოვიცანი. წამიერი გაუგებრობა კანის ფერმა გამოიწვია. „ატლანტას" ქართველი ცენტრი გვარიანად გარუჯული გახლდათ და თეთრ მაისურაზე მისი სიშავე უფრო კუნაპეტად მოჩანდა.

ზაზამ ბოლომდე ვერ ივარჯიშა. მას ოდნავ აწუხებს ფეხი და როცა ნაირგვარი კომბინაციების დახვეწის შემდეგ შილდსმა ბიჭები ორმხრივად ათამაშა, ფაჩულიამაც ტრიბუნაზე გადაინაცვლა და წვივის კუნთები ყინულებში ჩარგო. ორმხრივი სპარინგი კი ამ ბიჭებმა გააჩაღეს: დავით უგრეხელიძე, ბესიკ ლეჟავა, ზვიად ბაბიაშვილი, გიორგი ცინცაძე, მანუჩარ მარკოიშვილი, ლაშა გამყრელიძე, კოტე ტუღუში, გიორგი მარკოიშვილი, ანატოლი ბოისა და გიორგი შერმადინი. შილდსმა ბრძანა, თამაშისას ვარჯიშებზე დამუშავებული კომბინაციები გამოიყენეთო და ბიჭებიც, როგორც შეეძლოთ, ასრულებდნენ მწვრთნელის დავალებას.

ერთი სიტყვით, გუშინ თბილისური შეკრება დასრულდა და დაიწყო ერთთვიანი ევროპული ტურნე, რომელიც ბულგარეთიდან იწყება და საფრანგეთ-პორტუგალიის მოვლის შემდეგ ლუქსემბურგში, საკვალიფიკაციო მატჩით მთავრდება. ლუქსემბურგამდე შილდსის გუნდი სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებებს 8-ჯერ გაეჯიბრება და იმედია, ჩვენი ნაკრები საკმაო გამოცდილებას შეიძენს გადამწყვეტი საკვალიფიკაციო თამაშების წინ.

შაბათის ვარჯიშის ერთ-ერთი მთავარი ეპიზოდი ძირითადი შემადგენლობის დასახელება უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს ელემენტარული მიზეზის გამო არ მოხდა: კანდიდატი არ იყო იმდენი, შილდსს არჩევანი რომ გაეკეთებინა. მთავარი მწვრთნელის განკარგულებაში სულ 13 მოთამაშეა და ბულგარულ ტურნირზე მან ყველა იახლა. შემადგენლობის ფორმირება გზადაგზა მოხდება, როცა ნაკრებს დანარჩენი ლეგიონერები შეუერთდებიან.

**ირაკლი ბერტაია**



ირაკლი ბერტაიას ფოტო

## მნიშვნელოვანი სანაკრებო თარიღები

**22 ივლისი** გამგზავრება ბულგარეთში, სოფიის საერთაშორისო ოთხთა ტურნირზე. მონაწილეები: საქართველო, ბულგარეთი, მაკედონია და დანია

**23 ივლისი** ბულგარეთი — საქართველო 18:00

**24 ივლისი** საქართველო — მაკედონია 20:00

**25 ივლისი** საქართველო — დანია 16:00

**26 ივლისი — 1 აგვისტო** შეკრება საფრანგეთის ქალაქ პოში.

**2 აგვისტო** გამგზავრება პორტუგალიის ქალაქ ელვაშში, საერთაშორისო ამხანაგურ ტურნირზე. მონაწილენი: საქართველო, პორტუგალია, რუმინეთი, ტუნისი.

**6 აგვისტო** დაბრუნება საფრანგეთში და შეკრების გაგრძელება პოში.

**9-10 აგვისტო** 2 საკონტროლო მატჩი ინგლისი ნაკრებთან.

**20 აგვისტო** გამგზავრება ლუქსემბურგში საკვალიფიკაციო მატჩის სათამაშოდ.

### ევროპის კადეტთა ჩემპიონატი. საბერძნეთი, კრეტა

**20 ივლისი**

**საქართველო 53:82 ესპანეთი**
12:24 9:18 21:20 11:20

**საქართველო:** ბაქრაძე, თავართქილაძე (6), ელანიძე (3), დვალიშვილი (6), შენგელია (18); ჭოხონელიძე (7), ჩიკვილაძე (7), ბოქოლიშვილი (4), იოსელიანი (2), მაღლაკელიძე, ხეთაგური

**21 ივლისი**

**საქართველო 56:88 იტალია**
17:30 9:9 11:27 19:22

**საქართველო:** ბაქრაძე (4), თავართქილაძე (8), იოსელიანი (3), დვალიშვილი (4), შენგელია (17); ელანიძე (12), ჩიკვილაძე (6), ჭოხონელიძე (2), სულაბერიძე, ბოქოლიშვილი

# სასწაული არ მოხდა

## ესპანეთი — არა, იტალია — არა, სლოვენია?

**ქართველ** კადეტებს რომ ევროპის ჩემპიონატზე იოლი გასეირნება არ ელოდათ, თავიდანვე იყო ცნობილი და აგერ, ინებეთ. მიხეილ კობეშავიძის გუნდმა პირველი ჯგუფური ეტაპის საწყისი 2 მატჩი თითქმის ერთნაირი სხვაობით წააგო და წუხელ, გვიან ღამით, სლოვენიასთან ორთაბრძოლას უნდა გაერკვია, თუ ვინ გავიდოდა ჯგუფიდან.

სლოვენიაც ჩვენს დღეში იყო, იტალიასთან და ესპანეთთან ამ გუნდმაც წააგო, ოღონდ შედარებით დაძაბულ ბრძოლაში და გასაკვირი არ იქნება, ჯგუფიდან რომ გავიდეს.

ქართველებს სანუგეშოდ მხოლოდ მეტოქეთა სიძლიერე თუ ექნებათ. კობეშავიძის გუნდი პირველივე ტურში მოქმედ ჩემპიონ ესპანეთს შეეტაკა და არც ისეთი სხვაობით დამარცხდა, დასაცინად რომ გაეხადოს თავი 53:82. მერე ჩვენებმა იტალიელებთან წააგეს 53:88. ქართველებზე აშკარად სუსტი გუნდი ჰყავს პორტუგალიას, რომელიც თურქეთთან 38:79 დამარცხდა, ხოლო ლიტვასთან საერთოდ შერცხვა — 36:117, მაგრამ, სამწუხაროდ, ლუზიტანიელები სხვა ჯგუფში არიან.

საქართველო A დივიზიონში დარჩენისთვის ბრძოლა ალბათ მჩანჩალების ჯგუფში მოუწევს. თითოეულ ჯგუფში ბოლოზე გასული 4 გუნდი დასარჩენი საგზურისთვის იბრძოლებს. თუ საქართველო ამ ჯგუფში იქნება, მერე კი ნაღდად ტოლძალოვან მეტოქეებთან მოუწევს თამაში და ეგებ A დივიზიონში თავი შეიმაგროს.

სხვათა შორის, ქართველი 16-წლამდელები ბოლოს ფინალურ ეტაპზე 2004 წელს თამაშობდნენ, როცა 16 გუნდში მე-15 ადგილი დაიკავეს და B დივიზიონში ჩაქვეითდნენ.

**ირაკლი ბერტაია**

# ბოისა გამოირიცხა?

## რიგითი ფინეთი და მთავარი: პლეი ოფი

**დიდი ხანი არაა, რაც კენ შილდსი საქართველოს ნაკრებში გათავკაცდა, თუმცა ის ქართველებს კარგად იცნობს და მოთამაშეებთან საერთო ენის გამონახვაც არ გასჭირვებია. შილდსმა გასული 4 დღის მანძილზე ნაყოფიერად იმუშავა ჩვენს ნაკრებში და გუნდს საკუთარი ხელიც დაატყო. ბულგარეთში გამგზავრების წინ ის დილმის ბაზაზე ჟურნალისტებს სანაკრებო ამბებზე გაესაუბრა**



ირაკლი ბერტაიას ფოტო

— ამ 4 დღეში შევიმუშავეთ რამდენიმე დაცვითი და შეტევითი ტაქტიკა. ვივარჯიშეთ საშუალო დისტანციიდან სროლებში და ნაწილობრივ ფიზიკურ ფორმასაც მივხედეთ.

**— როგორ ფორმაში არიან ნაკრების წევრები?**

— არც ცუდ ფორმაში არიან და არც კარგში, საშუალო დონეზე ვართ. მხოლოდ 7 ვარჯიში გვქონდა და ბიჭები უკვე დაიღალნენ. ისინი გამოფიტულები ჩანან, თუმც ეს ყველაზე არ ითქმის. იმედია, ეს პრობლემა მალე აღმოიფხვრება და ნაკრები სასურველ ფორმაში ჩადგება.

**— ძირითად 12-ეულს როდის დაასახელებთ?**

— ეგ რომ გავაკეთო, ყველა მოთამაშე უნდა ვნახო, ამას კი ჯერ ვერ ვახერხებ. ბულგარულ შეკრებაზე ბევრი რამ გამოჩნდება. ვნახავ, ვინ როგორ მოერგება ჩემს შერჩეულ ტაქტიკურ სქემას.

**— ბულგარული ტურნირის მეტოქეებზე რას იტყვით?**

— ჩვენ ამ ტურნირზე მოსამზადებლად მივდივართ და დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნებიან ჩვენი მეტოქეები. ბულგარეთი და მაკედონია A დივიზიონის გუნდები არიან და ეს სრულიად საკმარისია, მათთან მატჩები ჩვენი სათამაშო სქემის დასახვეწად გამოვიყენოთ.

**— რას იტყვით ნაკრების იმ კანდიდატებზე, რომლებიც თქვენს ვარჯიშებზე არ ყოფილან?**

— ტაირინ ელისი, ვიქტორ სანიკიძე და ნიკოლოზ ცქიტიშვილი ნაკრებს თანდათან შეუერთდებიან. შემიძლია, აქედანვე ვთქვა, რომ ეს მოთამაშეები ძირითად შემადგენლობაში მოხვდებიან.

**— ვლადიმერ ბოისაზე რატომ არაფერს ამბობთ?**

— ბოისას ნაკრებში თამაშის სურვილი არ გამოუთქვამს. მას ცოლი ჰყავს ფეხმძიმედ და მასთან ერთად უნდა იყოს, თან კონტრაქტიც არ აქვს და ცალკე ამაზე ზრუნავს.

**— პირადი საქმეები რომ საკვალიფიკაციო მატჩების დაწყებამდე მოაგვაროს?**

— ნაკრები იმ დროისთვის შეკრულ-შეთამაშებული იქნება. ბოისას კი ელემენტარულად არ ეცოდინება ის სათამაშო სქემები, რომლებზეც, ჩვენ მთელი ერთი თვე ვიმუშავებთ. ბოისას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ის შეკრებაზე თუნდაც ერთი კვირით თუ არ ჩამოვა, იძულებული ვიქნები, მასზე უარი ვთქვა.

**— რაც იტყვით ჩვენს მთავარ მეტოქე ფინეთზე?**

— ჯერ ფინეთამდე მისვლაა საჭირო. ისლანდიაში ძალიან რთული ბრძოლა გველის და თუ ამ თამაშზე მაქსიმალური მობილიზება არ მოვახდინეთ, ყველაფერი წყალში ჩაგვეყრება. ფინეთს რაც შეეხება, ვფიქრობ, მათთან არც ერთი თამაში არ უნდა წავაგოთ, მაგრამ რას ვიზამთ. მე ამ ნაკრებს განვიხილავ, როგორც რიგით მოწინააღმდეგეს, რადგან ვერაფერ განსაკუთრებულს ვერ ვხედავ მასში. მე საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი ფინეთის დამარცხებისთვის კი არ გამიფორმებია, არამედ მთავარი მოთხოვნა A დივიზიონში გადასვლაა. ახლა იმაზე ვფიქრობ და ვზრუნავ, როგორ გადავიდეთ ელიტაში. ჩემი სურვილია, 15 სექტემბერსაც მოგვიწიოს თამაშმა — პლეი ოფისთვის მზად ვარ.

**ირაკლი ბერტაია**

# არტურმა კობრა არ გაახარა

## კობა გოგოლაძემ სატიტულო შანსი დაკარგა



კობა გოგოლაძემ კარდიფში ვერ იმარჯვა

**შაბათს** კობა გოგოლაძემ პროფესიულ კრივში ტიტულის მოპოვების რეალური შანსი გაუშვა ხელიდან. ფილადელფიაში მცხოვრები ქართველი კარდიფში შოტლანდიელ ალექს არტურს და ამ ბრძოლაში პირველ მსუბუქ წონაში (59 კგ-მდე) **WBO**-ს ვერსიით ჩემპიონობის პრეტენდენტის ვინაობა გაირკვა. მეტიც, შეიძლებოდა, აქ სულაც ჩემპიონი გამოვლენილიყო — საქმე იმაშია, რომ რადგან ამ წონაში დღესდღეობით ქამარს დომინიკელი ხოან გუსმანი ფლობს, რომელსაც უფრო მაღალ წონით კატეგორიაში სურს გადასვლა. გუსმანს 90 დღე ექნებოდა, რომ გოგოლაძე-არტურის წყვილის გამარჯვებულთან საკუთარი ტიტული დაეცვა — ხოლო თუ დომინკელი მაინც სხვა წონაში გადასვლას გადაწყვეტდა, ამ წყვილის გამარჯვებული ავტომატურად **WBO**-ს ჩემპიონი ხდებოდა. ასე რომ, ქართველს ქამრის მოგების მშვენიერი შანსი ჰქონდა.

ბრძოლის წინ ორივე მოკრივემ ჩვეულად საკუთარ სიძლიერეზე და მეტოქის დაშინებაზე გააკეთა აქცენტი. განსაკუთრებით შოტლანდიელი ბაქიაობდა, რომელიც პირდაპირ ამბობდა, კობას შინ დამარცხებულის რანგში გავუშვებო:

„მისი არ მეშინია. ყველა მეუბნება, სწრაფი მოკრივეაო, მაგრამ არც ეს იქნება პრობლემა. როგორც ერთ-ერთმა ჩემმა კერპმა, ჯო ლუისმა თავის დროზე თქვა — მეტოქეს შეუძლია, ირბინოს, მაგრამ ვერ დამემალება. ჰოდა, კობა თავის ტყავზე გამოსცდის ამ სიტყვების სიმართლეს. ვეცდები, თავიდანვე ბევრი ვურტყა ნეკნებში, რომ მისი სისწრაფე გავანეიტრალო, მერე კი მე და ჩემმა მარცხენამ ვიცით“ — თავდაჯერებული იყო არტური, რომელიც აქამდე პროფესიულ რინგზე მხოლოდ ერთხელ დამარცხებულიყო.

არტურს არც გოგოლაძე ჩამორჩა. მეტოქის მსგავსად აქამდე ერთადერთხელ დამარცხებულ ქართველს სწორედ რომ თავის სისწრაფის იმედი ჰქონდა:

„ვიცი, ბევრი ბრიტანეთში ცერად მიყურებს და ჰგონიათ, რომ უშანსოდ ვარ. თუმც აქამდეც გამილახავს აქაურები და ახლაც იგივეს ვიზამ. არტურს შეუძლია, ბევრი ილაპარაკოს, მაგრამ რინგზე სისწრაფეში აყოლა მაინც გაუჭირდება. თან ტყუილად კი არ შემარქვეს „კობრა“ — ამ ქვეწარმავალმა მწარედ იცის კბენა და ეგებ ჩემი რომელიმე ნაკბენი მისთვის დამღუპველი აღმოჩნდეს“.

როგორც ხედავთ, მოკრივეებმა რინგს გარეთ დარტყმები თანაბრად გაცვალეს — ბრძოლისთვის ორივე ძალიან სერიოზული მოტივაციით ემზადებოდა.

თუმც ჩვენთვის სამწუხაროდ, უშუალოდ რინგზე გოგოლაძემ ასეთივე ეფექტური პასუხი ვერ მოძებნა. არტურმა სწორედ ისე წაიყვანა ბრძოლა, როგორც პრესკონფერენციაზე განაცხადა — თავიდან მაინდამაინც არ აქტიურობდა და ცდილობდა, ქართველისთვის კორპუსში შეეტია. გოგოლაძეც საკმაოდ მალე გამოიფიტა და სისწრაფეს უკლო, ურომლისოდაც ჩვენებურს მასზე ფიზიკურად ძლიერ არტურთან არანაირი შანსი აღარ ჰქონდა. შოტლანდიელმაც კარგად ისარგებლა ამით და გოგოლაძე სამჯერ — მეექვსე, მერვე და მეცხრე რაუნდებში — წააქცია.

გოგოლაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის სამჯერვე წამოდგა, მაგრამ თავდაცვის, შეტევაზე აღარ ვსაუბრობთ, თავი თითქმის აღარ დარჩენოდა. ჰოდა, მეათე რაუნდში მთავარმა რეფერიმ, მანუელ ოლივერმა, დაინახა თუ არა, რომ გოგოლაძე ველარ უმკლავდებოდა მეტოქის დარტყმებს, ბრძოლა შეწყვიტა და არტურს ტექნიკური ნოკაუტით მოგება ჩაუთვალა.

**ქახა ლომჯარიძე**

# დაუღლელი!

## ჰოპკინსმა ვინკი მოინელა და კალძაგეს უხმო



**ამ უქმეების** ყველაზე საინტერესო ბრძოლა ლას ვეგასში გაიმართა, სადაც ერთმანეთს ორი ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი, ბერნარდ ჰოპკინსი და რონალდ „ვინკი“ რაიტი დაეტაკნენ. მოლოდინისამებრ ძალიან მძიმე, არცთუ ლამაზი საცქერი და კლინჩებით სავსე ბრძოლა ვიხილეთ, სადაც გამარჯვება 42 წლის ვეტერან ჰოპკინსს დარჩა.

ბრძოლის წინ რაიტი უპირობო ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ, ყველასთვის მოულოდნელად, ჰოპკინსმა პროფესიული კრივის ერთ-ერთი უდიდესი ტაქტიკოსი მისივე იარაღით, სწორად შერჩეული ტაქტიკით დაჯაბნა. ბრძოლის ტემპს, დისტანციასა და ინტენსიობას 12-ვე რაუნდის განმავლობაში ჰოპკინსი კარნახობდა მეტოქეს. ვეტერანი წრეებს ურტყამდა რაიტს, მაგრამ არ გაურბოდა, ცდილობდა, ახლოდან ებრძოლა, რითაც „ვინკის“ მთავარი ძალა — უძლიერესი მარჯვენა ჯები თითქმის საერთოდ გათიშა. გარდა ამისა, ჰოპკინსი მაქსიმალურად ხშირად შედიოდა კლინჩში და იქ ცდილობდა ქულების დაგროვებას, რასაც რაიტი ვერ აზერხებდა.

ჰოპკინსმა თავიდან აქტიურად დაიწყო და პირველ რაუნდში აშკარად დაჯაბნა მეტოქე, თუმც შემდეგ ბრძოლის სადავეები რაიტის ხელში გადავიდა და უკვე ის გააქტიურდა. „ვინკის“ უპირატესობა დიდხანს არ გაგრძელებულა და მესამე რაუნდის მიწურულს სულაც გაქრა — აქ მოკრივეები ერთმანეთს შემთხვევით თავებით შეასკდნენ და რაიტს თვალს ზემოდან სისხლი წასკდა, თუმც ჰოპკინსისთვის გაფრთხილება მაინც არ მიუციათ.

ბრძოლის მეორე ნახევარში კი რაიტს დაღლა დაეტყო. ჰოპკინსი გოლიათური, მაიკ ტაისონის მსგავსი სუპერდარტყმებით არასდროს გამოირჩეოდა, მაგრამ მისმა პირდაპირმა დარტყმებმა და ჰუკებმა მეტოქე აშკარად დაღალა, რის გამოც „ვინკის“ სუნთქვაც უჭირდა და რინგზეც ძლივს დადიოდა. ჰოპკინსს კი არსად არ ეჩქარებოდა, ქულებს სტაბილურად აგროვებდა და საჭირო შემთხვევაში ისევ კლინჩში შედიოდა.

ამის ლოგიკურ დასასრულად ჰოპკინსის გამარჯვება იქცა, რომელსაც სამივე მსაჯმა დაუჭირა მხარი. ვეტერანმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ასაკის მიუხედავად, ის პროფესიულ კრივში ერთ-ერთ უძლიერესად რჩება. ბრძოლის შემდეგ ჰოპკინსმა განაცხადა, რომ კიდევ ოთხი წელი აპირებს რინგზე დარჩენას და იმედი აქვს, რომ შემდეგ ჯო კალძაგეს შეხვდება:

„ვფიქრობ, კიდევ ოთხი წელი შევძლებ უმაღლეს დონეზე ჩხუბს. მგონი დავამტკიცე საკუთარი სიძლიერე და სიდიდე, რის გამოც კალძაგეს უნდა მოუნდეს ჩემთან ჩხუბი. თან მე მასზე გაცილებით სახელოვანი ვარ და იმდენს ვიმსახურებ, რომ ის აქ ჩამოვიდეს და ჩვენი ბრძოლა ჩემს ტერიტორიაზე გაიმართოს“.

**ქახა ლომჯარიძე**



# სამი ერი 2007

21 ივლისი. ოკლენდი

**ახალი ზელანდია 26:12 ავსტრალია**

**ახალი ზელანდია:** მულიაინა, ჰაულეტი, ტოეავა, მაკალისტერი, როკოკოკო; კარტერი, კელეჰერი; სოოიალო, მაკქოუ (კაპ), კოლინზი, ჯეკი, რობინსონი, ჰეიმანი, ოლივერი, ვუდკოკი

სათადარიგოები: მეალამუ, ტიალატა, სორნი, მასო, ლეონარდი, მაუგერი, ევანსი

**მწვრთნელი:** გრემ ჰენრი

ლ: ვუდკოკი; 7ს: კარტერი

**ავსტრალია:** ეშლი-კუპერი, ჯერარდი, მორტლოკი (კაპ), ტიტუ, მიტჩელი; ლარქემი, გრეგანი; ჰოილისი, სმიტი, ელსომი, ვიკერმანი, შარპი, შეფერდსონი, მური, დანინგი

სათადარიგოები: ფრეირი, ბაქსტერი, მაკმენიმანი, ჩიშოლმი, ვუ, სტეინფორტი, ლათამი

**მწვრთნელი:** ჯო კონოლი

3ს: მორტლოკი; 1ს: ტიტუ

# მაორულ-შავრაზმული

## ახალმა ზელანდიამ მსოფლიოს თასი დალანდა

**ამინდის** პროგნოზმა მსუბუქი წვიმა გამოაცხადა, მაგრამ ახალზელანდიური თქეში კი წამოვიდა. იყო ყველაფერი: მორბენალთა ფეხებიდან აფრქვეული შხეფები, სახეზე მოდენილი ნიაღვარი და პირიდან ამოსული ზელანდიური ზამთრის ოხშივარი, არც სხვისი და არც საკუთარი თავის დანდობა, ოთხმოცი წუთის განმავლობაში ბრძოლა და კბილთა ღრჭენა, გადაჭედილ „იდენ პარკზე“ სუნთქვაშეკრული გულშემატკივარი და რაგბის ღმერთი საჩემპიონო თასით ხელში... იმ დღეს სამი ერის ფინალურ მატჩში ავსტრალია ახალ ზელანდიას სტუმრობდა. ტიპური დასაწყისი, სახელმწიფო ჰიმნები შესრულებული სამხედრო ორკესტრის მიერ და ახალი ჰაკა ზარდამცემი კარლ ჰეიმანის ხელმძღვანელობით — დენ კარტერმა ბურთი ჩაჰკიდა და თამაშიც დაიწყო.

პირველი ტაიმი „ვოლაბების“ კარნახით მიმდინარეობდა. ბურთს ხშირად აკონტროლებდნენ, „შავების“ მოწოდებული ოთხი აუტიც მოიგეს, მაგრამ მოწინააღმდეგესთან ერთად ამინდსაც ებრძოდნენ და ამიტომ მათი მოწადინება არცთუ შედეგიანი გამოდგა.

უპირატესობა „ვოლაბებს“ მძიმე შრომის ფასად უჯდებოდათ. ბურთს უფრთხილდებოდნენ და შეტევის დროს რამდენიმე ფაზის გაბამას აზერხებდნენ. წვიმიანი ამინდი აშკარად ეუცხოვათ, რის გამოც ელემენტარულ სიტუაციაში ხშირად ჯარიმდებოდნენ და ამიტომ პირველი ნახევარიც 15:9 წააგეს.

მეორე ტაიმში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. „შავები“ აგრესიულები და მობილურები გახდნენ, მაგრამ აქამდე იყო მაკალისტერის ფოლი უბურთოდ თამაშისთვის და მორტლოკის საჯარიმო, რის შემდეგაც სხვაობა 15:12-მდე შემცირდა. თითქოს ავსტრალია სანუკვარ გამარჯვებასთან ახლოს მივიდა, მაგრამ დრო „ვოლაბების“ საწინააღმდეგოდ მუშაობდა და სულ რამდენიმე წუთში მაორთა შავმა არმიამ მათი ოცნება გააქრო. შეხვედრის ერთადერთი ლელო ტონი ვუდკოკმა გაიტანა. ბრენდონ ლეონარდი ჰოილისს და გრეგანს გაუსხლტა და არმისული მეტოქის ლელომდე მცველებმა წააქციეს. დასახმარებლად კევინ მეალამუ მივიდა, ვის მოპოვებულ ბურთსაც ვუდკოკი დაეუფლა და ლელოც გაიტანა.

ბოლო წუთებზე ტიტუს დაჯარიმებას კარტერის მორიგი უშეცდომო დარტყმა მოჰყვა და ტაბლოზე საბოლოო ანგარიში დაფიქსირდა.

აუცილებლად აღსანიშნავია ახალზელანდიელთა პრაგმატული რაგბობა. მატჩისშემდგომ გრემ ჰენრი თავის ბიჭების თამაშით აღფრთოვანებული ჩანდა და კომპლიმენტებს არ იშურებდა, განსაკუთრებით დენ კარტერი გამოარჩია, ვისი სათამაშო ფორმითაც სამი ერის წინ ყველა უკმაყოფილო იყო.

ახალი ზელანდია ერთბაშად ორი ტიტულის მფლობელი შეიქმნა და სახელიანად დაასრულა მსოფლიოს თასის წინა ტესტები, საფრანგეთშიც ფავორიტის სტატუსით მიემგზავრება საკუთარ უძლეველობაში დარწმუნებული. ვნახოთ...

**ზურაბ მიზრიაული**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ახალი ზელანდია | 4 | 3 | 0 | 1 | +41 | 1 | 13 |
| ავსტრალია | 4 | 2 | 0 | 2 | -4 | 1 | 9 |
| სამხრეთ აფრიკა | 4 | 1 | 0 | 3 | -37 | 1 | 5 |



ახალზელანდიელთა კაპიტანი რიჩი მაკქოუ სამი ერისა და ბლედისლოუს თასებით

# ეს საქმეს არ წაადგება

საქართველოში ბანაკებად დაყოფა და ერთმანეთში ფარული თუ ღია ბრძოლა იშვიათი ხილი არ გახლავთ. გამონაკლისი არც სპორტია, სადაც ხან ერთ სახეობაში იჩენს თავს დაპირისპირება, ხან — მეორეში, რაც ზოგჯერ იმდენად საქმის სასიკეთოდ არ ხდება, რამდენადაც სავარძლების შესანარჩუნებლად, დასაკავებლად თუ სხვა რამ გამორჩენისთვის. ასეთი ბრძოლა რამდენიმეწლიანი ტაიმ-აუტის შემდეგ კვლავ განახლდა ჩვენს საჩოგბურთო სამყაროშიც, რომლის ერთი ნაწილი, როგორც „სარბიელის" მკითხველმაც იცის, ჩვენი ქვეყნის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლეილა მესხის ვადამდელ გადარჩევას ითხოვს.
რა თქმა უნდა, მომხრეები ლეილა მესხსაც ჰყავს, მათ შორისაა ვეტერან ჩოგბურთელთა ერთი ჯგუფი, რომელმაც ეს მხარდაჭერა საგანგებო მიმართვით და ხელმოწერებითაც გამოხატა. ქვემოთ სწორედ მათ მიმართვას გთავაზობთ

## ვეტერან და მოყვარულ ჩოგბურთელთა განცხადება

**საყოველთაოდ** ცნობილია, რომ სპორტის ნებისმიერ სახეობაში ჩვენი თანამემამულეების მიღწევები უდიდეს სიხარულს ანიჭებს ხალხს. ერთ-ერთი ასეთი სპორტსმენი, რომლის წარმატებებითაც მრავალი წლის განმავლობაში ვხარობდით, შესანიშნავი ქართველი ჩოგბურთელი ლეილა მესხი იყო. მაგრამ მისი დამსახურება კარგი სპორტსმენობით არ ამოიწურება, ლეილა მესხი არის ადამიანი, რომელმაც, შეიძლება თამამად ითქვას, საქართველოში ჩოგბურთის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. ის სათავეში ჩაუდგა ჩოგბურთს იმ პერიოდში, როდესაც სპორტის ეს სახეობა უმძიმეს მდგომარეობაში იყო. მაგალითისთვის მის მიერ დაარსებული ჩოგბურთის აკადემია და უამრავი საერთაშორისო ტურნირის ორგანიზებაც კმარა. ამის არდანახვა უმადურობა იქნება, რაც ქართველი ხალხის დამახასიათებელ თვისებას არ წარმოადგენს.

ჩვენ, ვეტერან და მოყვარულ ჩოგბურთელთა ერთი ჯგუფი, ათეული წლების განმავლობაში მივდევთ სპორტის ამ სახეობას. მოგეხსენებათ, ჩვენს ქვეყანაში ბოლო ათწლეულებში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა საქართველოს ინტელიგენცია მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში ჩააგდო, ჩოგბურთი კი სპორტის ძვირადღირებულ სახეობად იქცა და რომ არა ლეილა მესხი, ჩვენ, საზოგადოების ერთი ნაწილი, ამ სიხარულს მოკლებული ვიქნებოდით. ის მეურვეობს ჩვენზე — ხანდაზმულ ადამიანებზე, მრავალი წელია, რაც უფასოდ გვითმობს კორტებს და გარკვეულ დახმარებასაც გვიწევს, რის გამოც მისი უდიდესი მადლიერები ვართ.

ძალიან დაგვწყდა გული, როდესაც გავიგეთ ქალბატონ ლეილას მიმართ აგორებული აქციის შესახებ, იმიტომ რომ ეს ადამიანი, თავის საქმიანობიდან და ადამიანური თვისებებიდან გამომდინარე, ნამდვილად არ იმსახურებს ასეთ დამოკიდებულებას და მეორეც — არ გვეყო ჩვენს ქვეყანაში ყოველ წვრილმანზე საზოგადოების აჟიტირება და ორად გახლეჩა?

ჩვენ არ ვართ დეტალურად ჩახედული საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის „სამზარეულოში", მაგრამ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ შექმნილი ვითარება სასარგებლოდ არ წაადგება ჩვენს ქვეყანაში ჩოგბურთის განვითარების საქმეს, ამიტომაც ვთხოვთ გარკვეულ ჯგუფს, თავი შეიკავონ ჩოგბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობის ჩატარებისგან.

[illegible]

# პატარა აგნესას დიდი სიხარული



**კაცები**
**შტუტგარტი. გერმანია**
**თიხნარი. საპრიზო 642 750 €**

**ნახევარფინალი**

**რაფაელ ნადალი** (1, ესპანეთი) — ფელიჩიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:1 7:5; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — ხუან-იგნასიო ჩელა (7, არგენტინა) 6:7 6:4 6:1

**ფინალი**

**ნადალი** — ვავრინკა 6:4 7:5

შტუტგარტში ჩასვლაზე თანხმობა განაცხადა თუ არა, ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ შვაბიაში რაფაელ ნადალი გაიმარჯვებდა. ესპანელმა იმედები არავის გაუცრუა და ეს კვირა ჩვეულად დაუბრკოლებლად იფრინა მორიგ ტიტულამდე.

მალიორკელმა 2005 წლიდან მოყოლებული ზედიზედ მე-16 სათიხნარო ფინალი ითამაშა, რომელთაგან მხოლოდ ერთში დამარცხდა — ჰამბურგის მასტერსზე როჯერ ფედერერთან. გარდა ამისა, „გრუნტის მეფემ" თავის საყვარელ საფარზე ბოლო 93 მატჩიდან 92-ში იმარჯვა.

რაფა ამ სეზონში საერთოდ ფანტასტიკურად თამაშობს — მის ანგარიშზე 55 მოგების წილ მხოლოდ 8 მარცხი მოდის. პლუს წლეულს ყველაზე მეტი, უკვე ექვსი ტიტული მოაგროვა.

ფინალში ესპანელ ვუნდერკინდს სტანისლას ვავრინკას წინააღმდეგობის დასაძლევად ცოტა წვალება მოუწია. მეორე სეტში შვეიცარიელმა გაბედა და თავიდანვე დაწინაურდა, ცოტა ხანში კი პარტიის მოგებასთანაც ახლოს იყო, როცა 5:2-ს იგებდა, მაგრამ ვავრინკას ჩაუქრობა აქ შეწყდა, რადგანაც ნადალს აშკარად გაბრაზება დაეტყო და ზედიზედ ხუთი გეიმი სულ რაღაც 20 წუთში აიღო.

**კაცები**
**ამერსფორტი. ჰოლანდია**
**თიხნარი. საპრიზო 353 450**

**ნახევარფინალი**

**ვერნერ ეშჰაუერი** (ავსტრია) — რობინ ჰაზე (ჰოლანდია) 6:4 6:4; **სტივ დარსისი** (ბელგია) — მიხაილ იუჟნი (2, რუსეთი) 4:6 6:0 7:5

**ფინალი**

**დარსისი** — ეშჰაუერი 6:1 7:5

ძალიან უცნაური ფინალი გაიმართა ამერსფორტში — ერთმანეთს 33 წლის ავსტრიელი ვერნერ ეშჰაუერი და სულ მთლად უცნობი ბელგიელი სტივ დარსისი შეხვდნენ. ორივე თავისი პირველი საკარიერო ტიტულისთვის იბრძოდა. განსაკუთრებით უცნაური მაინც დარსისის წარმატებული თამაში გახლდათ — რეიტინგში 297-ე საფეხურზე მყოფ ბელგიელს წინა კვირამდე ATP-ის დონეზე მხოლოდ ორჯერ ეთამაშა და ორჯერვე წაეგო. ახლა კი ფინალს უწია და იქ დიდებულადაც გაისარჯა, როცა ეშჰაუერს საკმაოდ დამაჯერებლად მოუგო.

**კაცები**
**ლოს ანჯელესი. აშშ**
**ჰარდი. საპრიზო 525 000 $**

**ნახევარფინალი**

**რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი) — ნიკლას კიფერი (გერმანია) უარი; **ჯეიმს ბლეიკი** (2, აშშ) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (7, სამხ. კორეა) 6:3 4:6 6:3

ლოს ანჯელესში ტიტულის ბედს ერთმანეთში ჯეიმს ბლეიკი და რადეკ შტეპანეკი გადაწყვეტენ. ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა ამერიკელის მხარეს არის — მას 3:1 მიჰყავს და ჩეხს სამჯერვე ჩრდილო ამერიკულ კორტებზე მოუგო, რის გამოც ის კალიფორნიაშიც აშკარა ფავორიტად ითვლება.

თუმც ფინალებში ყველაფერი ხდება ხოლმე და ეგებ შტეპანეკმაც ახლა გამოიღოს ხელი. მით უმეტეს, რომ გადამწყვეტ მატჩს ჩეხი გაცილებით დასვენებული შეხვდება — მას ნიკლას კიფერის გამიზეზებული მუხლის გამო ნახევრფინალის თამაში არ მოუწია.

**ქალები**
**ცინცინატი. აშშ. ჰარდი**
**საპრიზო 175 000 $**

**ნახევარფინალი**

**ანა ჩაკვეტაძე** (1, რუსეთი) — სანია მირზა (3, ინდოეთი) 6:2 5:7 6:3; **აკიკო მორიგამი** (7, იაპონია) — აკგულ ამანმურადოვა (უზბეკეთი) 6:7 6:4 6:3

მეოთხედფინალში ტურნირის მეორე ნომერ პატი შნიდერის დამმარცხებელ აკიკო მორიგამის ახლა პირველ ნომერთან მოუწევს გამკლავება. თუმც იაპონელს ეს ძალიან გაუჭირდება, რადგანაც ანა ჩაკვეტაძე მშვენიერ ფორმაშია — ხოლო თუ სტაბილურად ათამაშდა, მაშინ ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენელს შანსიც არ ექნება.

**ქალები**
**პალერმო. იტალია. თიხნარი**
**საპრიზო 145 000 $**

**ნახევარფინალი**

**აგნეს სჟავაი** (8, უნგრეთი) — სარა ერანი (იტალია) 7:6 6:1; **მარტინა მიულერი** (2, გერმანია) — კარინ კნაპი (იტალია) 6:4 4:6 6:1

**ფინალი**

**სჟავაი** — მიულერი 6:0 6:1

აგნეს სჟავაი ტიტულის მომგები წლის ყველაზე ახალგაზრდა ჩოგბურთელია. თინეიჯერმა უნგრელმა პალერმოში მშვენივრად იჩოგნავა და კარიერაში პირველი ტურნირი მოიგო. სჟავაი განსაკუთრებულად შთამბეჭდავი ფინალში იყო, როდესაც მეორე ნომერ მარტინა მიულერს მხოლოდ კინკილა გეიმი დაუთმო.

**კახა ლოჩყვილი**

# მაკა ბოლომდე ვერ გავიდა

**ფრანგულ** კონტრექსვილში გუშინ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გამართული ქალთა 50-ათასიანი შეჯიბრი დასრულდა.

საქართველოს პირველი ჩოგანი მაკა ჩახნაშვილი ტურნირზე მე-7 ნომრად იყო განთესილი, ანუ რეიტინგის მიხედვით მისი ადგილი მეოთხედფინალისტთა შორის იყო. მაკა უფრო შორს წავიდა. მეოთხედფინალში ქართველმა 7:6 3:6 6:1 მოუგო მე-4 ნომრად განთესილ გამოცდილ ფრანგ სტეფანი ფორეზს ვინც, იყო დრო, WTA-ს კლასიფიკაციაში 62-ე საფეხურზეც მდგარა.

სამწუხაროდ, ჩახნაშვილმა მეტი ვეღარ შეძლო. ნახევარფინალში ჩვენებური სამ სეტში — 4:6 6:2 2:6 დამარცხდა მე-2 ნომრად განთესილ 19 წლის გერმანელ ანდრეა პეტკოვიჩთან, ვისაც მიმდინარე რეიტინგში 109-ე პოზიცია უკავია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლაჟის ფრენბურთი

# მსოფლიოსწინა მარსელი


საჭი (მარჯვნივ) და როთველო

**მარსელში** დასრულდა პლაჟის ფრენბურთელთა მსოფლიოს ტურის მორიგი ეტაპი, რომელიც ბოლო იყო მსოფლიოს ჩემპიონატის წინ.

თავიდან შეჯიბრში ქალები ჩაერთვნენ და ჩვენმა წყვილმა საქართველომ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჯერ კიშების უნგრულ დუეტს მოუგო 21:7 21:6, შემდეგ კი რუსები — შმატი და სტეპანოვა 21:5 21:10 დაამარცხა და ძირითად ბადეში შეაღწია, სადაც ქართველი ბრაზილიელები 25-ე ნომრად განთესეს.

პირველ წრეში საქამ და როთველომ ისევ ორ სეტში — 24:22 21:11 აჯობეს ვანგისა და ძუოს ჩინურ წყვილს, მაგრამ მერე მე-9 ნომრად განთესილ მასპინძლებთან — ფორისა და სარპოსთან ასევე ორ პარტიაში — 19:21 19:21 დამარცხდნენ. ამის შემდეგ ქართულმა წყვილმა სამ სეტში — 18:21 21:16 15:10 მოუგო იტალიელებს, მომოლისა და ჯიორიას და სამ სეტშივე — 15:21 21:19 5:15 წააგო ბრაზილიელებთან, აგატასა და შაილინთან და საბოლოოდ მე-13 ადგილი დაიკავა.

ბრაზილიელი ქართველების, გეორ და გიას კაცთა წყვილი თავიდანვე ძირითად ბადეში იყო. პირველ წრეში ჩვენებმა 22:20 21:14 აჯობეს კუბალასა და პავლაშის ჩეხურ დუეტს. შემდეგ ჩინელებთან, სიუსა და ვუსთან ორ სეტში — 18:21 14:21 წააგეს, რასაც ორი გამარჯვება მიაყოლეს — ჰოიდალენისა და გორანსონის ნორვეგიულ დუეტს ორ სეტში — 21:19 21:19 აჯობეს, ხოლო ჰოლანდიელებს, ბოერსმასა და რონსს სამ პარტიაში — 21:14 20:22 15:11 სძლიეს.

მეთოხედფინალში გასასვლელ მატჩში ჩვენებს მეტოქედ ჩინელები — ლი და ჟუ ჰყავდათ და დაძაბული ორსეტიანი პაექრობა ჩინელთა გამარჯვებით — 21:18 21:19 დასრულდა.

ცურვა

# ცურვა კოლხური

## ასრულებს სტეფანი ჰილბორნი

**ბოლო** დროს გახშირდა სხვადასხვა სპორტულ ტურნირთა ჩატარება ჟურნალისტებში. საინფორმაციო საშუალებათა, ასე ვთქვათ, სპორტულად განწყობილი მუშაკები ერთმანეთს ეჯიბრებიან მინი-ფეხბურთში, სტრიტბოლში, ბილიარდსა თუ სხვა მადიან სახეობებში.

ამ შაბათს ლაგუნა-ვერეზე ასეთი მინი-ტურნირი ჩატარდა ცურვაშიც. ორგანიზატორი გახლდათ ჰენრი კუპრაშვილი, რომელმაც თავი შეიკავა ჩვენთან გაჯიბრებისგან. თურქეთში დარდანელის სრუტე ხელფეხგაკრულს აქვს გადაცურული და ახლა წარმოიდგინეთ, მკლავგაშილილი სად ჩამოგვიტოვებდა თამბაქოს სუნით გაჯერებულ კედლებში მსხდარ ჟურნალისტებს.

ტურნირმა ყველა საცურაო სახეობა მოიცვა. ქალთა შორის ოთხივე სტილში იმარჯვა „რუსთავი 2-ის" წარმომადგენელმა ხათუნა ნოზაძემ. ვაჟთა შორის ბატერფლაის და გულაღმა 50-50-მეტრიანი გაცურვები მოიგო ოლეგ ფეიქრიშვილმა (ჯორჯია თუდეი), 50 მეტრ ბრასში იმარჯვა გოგა გურასაშვილმა (24 საათი), ხოლო 50 მეტრ თავისუფალში ვახტანგ მამალაძემ (მზე).

სულ ბოლოს ჰენრი კუპრაშვილმა მსურველებს მოუწოდა, 25 მეტრი კოლხურად, ანუ ხელ-ფეხის მოსმის გარეშე გაეცურათ. ცხადია, გაკოჭვით არავინ გაუკოჭავთ, იმ პატარების გარდა, რომლებიც ამგვარ ცურვაში ვარჯიშობენ. ქალთა შორის 25 მეტრზე კოლხურად ცურვა მოიგო ამერიკელმა სტეფანი ჰილბორნმა (ჯორჯია თუდეი), რომელმაც მანამდე ყველა გაცურვა სულ ცოტათი წააგო ხათუნა ნოზაძესთან, ახლა კი მასვე ასევე სულ ცოტათი აჯობა. კაცთა შორის კი კოლხურში გამარჯვება მალხაზ გულაშვილს ერგო (ჯორჯიან ტაიმსი).

**ირაკლი ფირუზვილი**

# ბრაზილიაში სპიტცი დააქვეითეს

**რიო დე ჟანეიროში** მიმდინარე პანამერიკულ თამაშებზე ერთგვარი რეკორდი დაამყარა ბრაზილიელმა მოცურავე ტიაგო პერეირამ. 21 წლის პერეირამ ამ თამაშებზე ერთბაშად 6 ოქროს მედალი მოიპოვა და ერთით აჯობა ლეგენდარულ მარკ სპიტცს, რომელმაც 1967 წლის პანამერიკულ თამაშებზე 5 ოქრო მოიგო. სათქმელია, რომ ეს მხოლოდ ციფრებია, რაკილა სპიტი მართლა ლეგენდარული სპორტსმენი გახლდათ, მაშინ ის 17 წლის იყო, შემდეგ მართლა დაიპყრო მსოფლიოს აუზეთი — 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადაზე ერთბაშად 7 ოქრო მოიგო და ეს დღემდე რჩება ყველა დროის რეკორდად. ერთბაშად ამდენი ოქრო ოლიმპიადაზე, ან მსოფლიოს ჩემპიონატზე არც ცურვაში და სპორტის არც ერთ სხვა სახეობაში არაკაცს არ მოუგია და ძნელად სავარაუდოა, რომ ეს პერეირამ შეძლოს ოლიმპიადაზე ან მსოფლიოს პირველობაზე.



ტიაგო პერეირა

**კოტე ყორშია**

მძლეოსნობა


ბლანკა ვლასიჩი

# ფეხებში ჩადებული 205 სანტიმეტრი

**ესპანური** მძლეოსნობის მახვშები კარგა ხანია, მადრიდში მძლავრ ტურნირს ატარებენ, მაგრამ იააფისგან, მრავალი ხვეწნა-დაჯერების მიუხედავად, ვერ ელირსნენ ამ ტურნირისთვის გრან პრის სტატუსს, რომ ალარაფერი ვთქვათ „ოქროს ლიგაში" მეშვიდე ქალაქად დამატებაზე. თავად ესპანელებს რიგიანი მძლეოსნების დეფიციტი გაქვთ და სანამ მძლეოსნობას შიგნიდან არ განავითარებთ, მარტო კარგად ორგანიზებული ტურნირის იმედად ტყუილად იქნებითო — აზრობრივად დაახლოებით ასეთია იააფ-ის პასუხი.

ახლაც მადრიდში ბლომად ცნობილი სახე-სახელი ჩავიდა და ივლისის სიცხეში ტრიბუნაზე მისული გულშემატკივარიც რამდენიმე რიგიანი შედეგის შემსწრე გახდა. პირველ რიგში აღსანიშნია ხორვატი სიმაღლეზე მხტომელ ბლანკა ვლასიჩის 2,05 მეტრიანი ნახტომი, რაც მისი პირადი და აგრეთვე სეზონის საყოველთაო რეკორდი გახლავთ.

ბლანკას კონკურენტებიც გვარიანი ჰყავდა. ჯერ მარტო სახელები ნახეთ: შვედი კაისა ბერგკვისტი და ესპანელი რუთ ბეიტია. მაგრამ ეს ორნი 1,95 მეტრზე დარჩნენ და აქედან შეჰყურებდნენ 23 წლის უნიჭიერეს ხორვატს, რომელიც ბერგკვისტის ზეობის დასასრულის დასაწყის მოასწავებს. შვედი მსოფლიოს ჩემპიონისგან განსხვავებით, ვლასიჩი ყველა სიმაღლეს ძალზე მსუბუქად იღებდა — დაიწყო 1,84 მეტრიდან, შემდეგ უცებ 1,92-ზე ახტა და 2,05-მდე ისე მივიდა, რომ ცდა არ გაუფუჭებია. შემდეგ კი ასეთი წარმატებით შეთამამებულმა ხორვატმა 2,10 დაუკვეთა, რაც არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიო რეკორდია, მაგრამ ოცი წლის წინ 2,09-ზე გადამხტარ ბულგარელ სტეფკა კოსტადინოვას შერჩა თავისი რეკორდი. ვლასიჩმა ამ ჯერზე ვერ აიღო ეს სიმაღლე, მაგრამ მადრიდი მაინც უზომოდ კმაყოფილმა დატოვა. მან 1 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე სეზონის რეკორდი, შემდეგ კი გალიმებული ამბობდა — ვიცოდი, რომ 2,05 მეტრი ჩემს ფეხებში იდო, მე ის გამიკვირდა, ასე იოლად რომ ავიღე ეს სიმაღლეო. მერე მადლობაც უძღვნა მადრიდელ მაყურებლებს — მაგათ რომ გამამხნევეს, ისე არსად არ ამხნევებენ მძლეოსნებსო და ბოლო სიტყვანი დაავდო — ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზე მსოფლიოს რეკორდს თუ არა, ჩემს პირველ დიდ ოქროს ნამდვილად შევუტევო.

იყოჩაღა რუსმა სიგრძეზე მხტომელმა ტატიანა ლებედევამაც, რომელმაც ერთ-ერთ ცდაზე 7,15 მეტრზე ისკუპა და ასევე სეზონის რეკორდი მიითვალა. ტანიას ასეთი ნახტომი ძალიან დიდი ხანია, არ შეუსრულებია, ის კი არა, 7,00 შედეგით რომ მოიგო 2004 წელს ათენის ოლიმპიადა, მას მერე აღარ გასცილებია შვიდ მეტრს. ასე რომ, ახლა ამ შედეგით ფრიად გაიხარა. გამოსვლის შემდეგ ამბობდა, ოსაკასთვის კარგ ფორმაში შევიდვარ და ორ ოქროს დავგეგმავ მსოფლიოს ჩემპიონატზევეო — ერთი, რაღა თქმა უნდა, ამ სახეობაში და მეორე სამხტომშიო. მერე ოღრაშმა ესპანელმა ჟურნალისტმა კითხვა შეუბრუნა — ასარჩევად რომ გაგიხდეთ საქმე, ამ ორიდან რომელს აირჩევდითო და რუსმა ღიმილის შემდეგ სამხტომი ირჩია.

ლებედევას გვერდით სახსენებელია მისი პორტუგალიელი მონიწაალმდეგე ნაიდე გომეში, რომელმაც საუკეთესო ცდაზე 7-მეტრიანი ზღვარიც კი დაძლია და 7,01 შედეგით პორტუგალიის ყველა დროის რეკორდი გამოაცხო. „მეგონა, რომ ჩემი შესაძლებლობების ზღვარი 6,90-ზე გადიოდა. მე დაახლოებით 6,70-6,90 შედეგებს შორის ვმერყეობ და 7,01 ჩემთვის პირდაპირ გადასარევი მიღწევაა" — ბედნიერებისთვის 7 მეტრიც ეყო პორტუგალიელ სპორტსმენს.

მადრიდში პორტუგალიურმა სამძლეოსნო სკოლამ არა მხოლოდ გომეში წარადგინა. რიგიანი შედეგი აჩვენა 23 წლის კაცმა სამხტომელმა ნელსონ ევოსამ, რომელმაც 17,51 შედეგით ასევე გამოაცხო პორტუგალიის რეკორდი, ხოლო ტურნირზე 11 სანტიმეტრით აჯობა გრენადელ რენდი ლუისს.

აუცილებლად იმსახურებს ხსენებას ლიტველი ბადრის მტყორცნელი ვირგილიუს ალეკნა, რომელიც მართლაც სწორუპოვარია ამ სახეობაში და ამას მისი შედეგებიც მეტყველებს. ალეკნამ წლეულს თავისი 11 ტურნირიდან მე-11 მოიგო — საუკეთესო ცდაზე 68,76 მეტრზე გასტყორცნა ბადრი და 2,41 მეტრით აჯობა მეორეზე გასულ ესპანელ მარიო პესტანოს.

**კოტე ყორშია**

# 94-ე ტურ დე ფრანსი 7-29 ივლისი

# შაბათის ვინო კვირას დაძმარდა



ალბერტო კონტადორმა მიქაელ რასმუსენს საფინიშო დუელი მოუგო

**შაბათს,** ალბიში გამართულ 54-კილომეტრიან ინდივიდუალურ რბოლაში „ტურის" მთავარ ფავორიტად მიჩნეული, მაგრამ მე-5 ეტაპზე დაცემისა და ალპებში ჩამორჩენის შემდეგ ყველასგან ჩამოწერილი ალექსანდრ ვინოკუროვი გაცოცხლდა, ხოლო ალეხანდრო ვალვერდე, ვისაც „ვინოს" უმთავრეს კონკურენტად თვლიდნენ, პირიქით — უიმედოდ ჩამორჩა.

ინდივიდუალური რბოლის წინ ვალვერდე მე-2 იყო გენერალურ კლასიფიკაციაში, ხოლო ვინოკუროვი — მე-19 და ისე მოხდა, რომ ალბიში ყაზახმა 10 პოზიცია მოიგო და მეცხრეზე აინაცვლა, ხოლო ესპანელმა 9 საფეხურით დაბლა, მეთერთმეტეზე ჩაინაცვლა.

წვიმიან ამინდში „ასტანას" ლიდერმა მართლაც ფანტასტიკურად იარა და 54 კილომეტრი ერთ საათში, 6 წუთსა და 14 წამში გაიარა. ვალვერდე „ვინოს" 6 წუთით და 8 წამით ჩამორჩა და მხოლოდ 47-ე იყო. ასეთი საშინელი ინდივიდუალური რბოლა უნიჭიერეს ბასკს ალბათ არასოდეს ჰქონია, მაგრამ ვალვერდეს რა უჭირს, შაბათი სრულ კოშმარად იქცა კრისტოფ მოროსთვის — საუკეთესო ფრანგი ოდენ 125-ე იყო ვინოკუროვთან ცხრაწუთნახევრიანი ჩამორჩენით.

დაყოფილი სტარტით რბოლამ გენერალურ კლასიფიკაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა, თუმცა თავში მაინც დანიელი მიქაელ რასმუსენი დარჩა და ეს ვალვერდესა თუ მოროსფიასკოზე არანაკლები სენსაცია იყო. თუ ამათ კარიერაში უცუდესი ინდივიდუალური რბოლა ჰქონდათ, რასმუსენმა პირიქით — ისე იარა, როგორც არასდროს, გზაზე მასზე სამი წუთით წინ მავალ ვალვერდესაც გაასწრო და მე-11 შედეგი აჩვენა გამარჯვებულთან 2 წუთისა და 55 წამის ჩამორჩენით.

ვინოკუროვს წუთითა და 14 წამით ჩამორჩა ავსტრალიელი კედელ ევანსი და საერთო ჩათვლაშიც მეორე ადგილზე ავიდა რასმუსენთან ზუსტად ერთწუთიანი სხვაობით. „ვინოსთან" ორ წუთზე ნაკლები კიდევ ორმა წააგეს — ანდრეას კლოდენმა და ანდრეი კაშეჩკინმა, ანუ ევანსი რომ არ ჩახერილიყო, შაბათის პოდიუმი მთლიანად „ასტანასი" იქნებოდა.

თანაც, კლოდენი სველ გზაზე მოცურდა და დაეცა, თორემ ევანსს ნამდვილად გაასწრებდა და გენერალურ კლასიფიკაციაშიც ალბერტო კონტადორზე წინ, მესამე ადგილზე იქნებოდა.

ვინოკუროვი კი არც სიხარულს მალავდა და არც ახლიდან გაჩენილ ამბიციებს. „ტურ დე ფრანსს" მთებსა და ინდივიდუალურ რბოლებში იგებენ. ალპებში ბევრი დავკარგე და ბევრმა ჩამომწერა, მაგრამ პარიზამდე ჯერ შორია. თანაც ალარაფერი მაწუხებს და თანაგუნდელების დახმარებით კიდევ შევძლებ საჩემპიონო ბრძოლაში ჩართვას" — აი, ასეთი სიტყვები ილაპარაკა ყაზახმა ფინიშის შემდეგ და, თურმე სულ ტყუილად... ალბიში მას კარის გაჯახუნება გამოუვიდა და მეტი არაფერი, რადგანაც გუშინ, პირველ პირინეულ ეტაპზე ვინოკუროვის ოცნებებს მსუქანი წერტილი დაესვა.

მაზამედან პლატო დე ბიელამდე ველოსიპედისტებს 197 კილომეტრი ჰქონდათ გასავლელი და ამ გზის მეორე ნახევარში ერთმანეთის მიყოლებით ალმართული იყო ორი უმაღლესი კატეგორიის მთა — ორიათასმეტრიანი პორტ დე პალე და საკუთრივ პლატო დე ბიელი. ვინოკუროვი პირველი უღელტეხილის ალმართებში დალდა. ფინიშამდე 43 კილომეტრით ადრე ყაზახი 5 წუთს აგებდა რასმუსენის ჯგუფთან და ყველაფერი ნათელი იყო — „ვინოს" ოცნებას, მოიგოს „ტური", მინიმუმ მომავალ წლამდე ასრულება არ უწერია.

ბოლო, მართლაც რომ ჯოჯოხეთურ ალამართს ხუთი ესპანელისგან შემდგარი ჯგუფი შეუყვა პირველი, მაგრამ მალე ეს პატარა ჯგუფიც დაიყო და წინ კიდევ ერთი „ასტანელი" ანტონიო კოლომი გაიქცა. სამ წუთში ალმართს ძირითადმა ჯგუფმაც უწია და წავიდა დაუზოგავი ბრძოლა გადარჩენისათვის.

ფინიშამდე 12 კილომეტრით ადრე ამ ჯგუფს ვალვერდე ჩამორჩა და ვინოკუროვის არ იყოს, მასაც მომავალ „ტურამდე" მოუწევს მოთმენა, ოღონდ ისიც სათქმელია, რომ ესპანელი ყაზახზე შვიდი წლით უმცროსია, მხოლოდ 26 წლის გახლავთ და მისი შანსები მოიგოს და თანაც არაერთხელ ფრანგული სუპერრბოლა, ძალზე რეალურია.

...ფინიშამდე 9 კილომეტრი რომ რჩებოდა, ნელ-ნელა კლოდენმაც უკლო ტემპს, შემდეგ კაშეჩკინმაც და წინ ხუთნი დარჩნენ — რასმუსენი, კონტადორი, ევანსი, ლევი ლეიფჰაიმერი და ხუან მაურისიო სოლარი. იქვე იყო კარლოს სასტრეც და მერე კი რასმუსენმა, ვისაც მომავალი შაბათის ინდივიდუალური რბოლა აღელვებს, კიდევ ერთი იერიში წამოიწყო, რასაც მხოლოდ კონტადორმა უპასუხა. ამ ორმა წინ მყოფ კოლომს ჩაუქროლეს და ფინიშზე კი ახალგაზრდა ესპანელი უფრო სწრაფი აღმოჩნდა.

24 წლის კონტადორმა, ვისაც ფანტასტიკური სეზონი აქვს, კარიერაში პირველად მოიგო „ტურის" ეტაპი, თანაც ევანსი იმდენით ჩამოიტოვა, რომ გენერალურ კლასიფიკაციაში მეორე ადგილზე აინაცვლა. ლიდერი კი ბუნებრივია, ისევ რასმუსენია და საუკეთესო სამთო მრბოლის სარგო თეთრ წითელწინწკლებიან მაისურასაც ის ფლობს.

რასმუსენი კონტადორი, ევანსი... ამათ ლეიფჰაიმერი და კლოდენი მოჰყვებიან და დანარჩენები, უკვე საკმაოდ ჩამორჩნენ. ვალვერდე მეცხრეა და ლიდერთან 9 წუთსა და 45 წამს აგებს.

წინ კიდევ ორი სამთო ეტაპია — დღევანდელი, ერთბაშად ხუთი უღელტეხილით და დაბლობში ფინიშით და ხვალინდელი, ოთხმთიანი და ალმართში ფინიშით. ამ მთებში რასმუსენი თავისი უპირატესობის კიდევ უფრო გაზრდას შეეცდება, რადგანაც ბოლოსწინა ეტაპი 56-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლაა და ამ საქმეში დანიელი თავისი მდევრებივით ყოჩაღი ვერ არის.



გუშინდელ ეტაპზე ალექსანდრ ვინოკუროვმა 29 წუთი წააგო

**მე-13 ეტაპი. ალბი. 54 კმ. ინდივიდუალური რბოლა**

| | |
|---|---|
| 1. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, „ასტანა") | 1სთ 6წთ 34წმ |
| 2. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო") | +1წთ 14წმ |
| 3. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა") | +1წთ 39წმ |
| 4. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, "ასტანა") | +1წთ 44წმ |
| 5. ბრედლი ვიგინსი (ბრიტანეთი, „კოფიდისი") | +2წთ 14წმ |

**მე-14 ეტაპი. მაზამე — პლატო დე ბიელი. 197 კმ**

| | |
|---|---|
| 1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი") | 5სთ 25წთ 48წმ |
| 2. მიქაელ რასმუსენი (დანია, „რაბობანკი") | იგივე დრო |
| 3. ხუან მაურისიო სოლარი (კოლუმბია, ბარლვორლდი") | +37წმ |
| 4. ლევი ლეიფჰემერი (აშშ, „დისქავერი")· | +40წმ |
| 5. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +53წმ |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. მიქაელ რასმუსენი (დანია, —რაბობანკი") | 64სთ 12წთ 15წმ |
| 2. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი") | +2წთ 23წმ |
| 3. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო") | +3წთ 04წმ |
| 4. ლევი ლეიფჰემერი (აშშ, „დისქავერი") | +4წთ 29წმ |
| 5. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა") | +4წთ 38წმ |
| 6. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +5წთ 50წმ |
| 7. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, „ასტანა") | +6წთ 58წმ |
| 8. მიგელ ასტარლოა (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | +8წთ 25წმ |
| 9. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაისე დეპარნი") | +9წთ 45წმ |
| 10. იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა, „დისქავერი") | +10წთ 55წმ |





# ასასიორუს 21-ე ძველმა ახალი დაჩაგრა

**ნაგოიური** ბაშო ოცდამეერთე საუკუნის ორი იოკოძუნას ჭიდილით დაგვირგვინდა. მონღოლები ასასიორუ და ხაკუხო აქამდე ერთმანეთს ამ წოდებებით არ დაპირისპირებოდნენ და, რაც მთავარია, საივლისო იმპერატორის თასის მფლობელი სწორედ ამ ბრძოლას უნდა გამოევლინა.

შაბათ-კვირას ჩაჭიდავებულ ბოლო ორ ტურში ასასიორუ-ხაკუხო-კოტომიცუკის ლიდერ ტრიოდან საჩემპიონო შანსი პირველმა ხაკუხომ გაირთულა. გუშინწინ „თეთრმა ფენიქსმა" ოძეკი ტიოტაიკასთან ვერ იყოჩაღა და რახან თანალიდერებმა მორიგი ქულები მიითვალეს, ბოლო დღის იმედადღა დარჩა. მაშინვე იცოდა, რომ კვირას თასის ასაწევად მარტო ასასიორუს წაქცევა არ უშველიდა. იქამდე კოტომიცუკის რიგით მაეგაშირა კისენოსატოსთან უნდა დასცდენოდა ფეხი.

ერთი შეხედვითაც ჩანდა, რომ ჩემპიონობასთან უფრო ახლოს სეკივაკე კოტომიცუკი იდგა. საკვირაო მეტოქე კისენისატო მას იქამდე რვა შეხვედრაში ექვსჯერ ჰყავდა წაქცეული, მაგრამ „იშვიათ ტალანტად" წოდებულმა 21 წლის რიკისიმ მინისენსაცია მოახდინა.

იოკოძუნების რკენა კი გამოცდილი „ცისფერი დრაკონის" გამარჯვებით და გაჩემპიონებით დასრულდა. ასასიორუმ ერთი ამოსუნთქვით გადაუხაძა მძლავრი მეტოქე დოჰიოდან და სუმოს უმაღლესი ჯილდო 21-ედ მოიპოვა.

დასავლეთის მეცხრე მაეგაშირა კოკაიმ კი უქმეები წაგება-მოგებით ჩაიჭიდავა და ბაშო სამქულიანი მინუსბალანსით დაასრულა. სექტემბრის ტურნირზე ჩვენებური გაუარესებული რეიტინგით გავა დოჰიოზე.

მესამე დივიზიონში მოჭიდავე ტოჩინოსინი, იგივე ლევან გორგაძე კი სექტემბერში მეორე დივიზიონში გადასასვლელად იბრძოლებს. 19 წლის ქართველმა შვიდი შეხვედრიდან ექვსი მოიგო. ხოლო მის მხარდამხარ მოჭიდავე გაგამარუმ, თეიმურაზ ჯუღელმა, ტურნირი უარყოფითი ბალანსით, მაკეკოსით დაასრულა — სამჯერ მოიგო და ოთხჯერ წააგო.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფორმულა 1. 58-ე მსოფლიოს ჩემპიონატი. მეათე ეტაპი

# ფერნანდო ალონსომ შანსი დაიბრუნა




**მეათე** ეტაპზე შეწყდა ინგლისელ ახალბედა ლუის ჰემილტონის ფანტასტიკური წინსვლა. რასაკვირველია, ყველაფერს — ცუდსაც და კარგსაც — დასასრული აქვს, მაგრამ ორმაგად საწყენია, თუკი ამგვარი ამბავი მოხდა არა მრბოლის, არამედ მანქანის ტექნიკური გაუმართაობის გამო.

შაბათს „ნიურბურგრინგზე" კვალიფიკაციის დასრულებამდე ხუთი წუთიღა რჩებოდა, როცა ჰემილტონის „მაკლარენ-მერსედესს" წინა მარჯვენა საბურავი გაუსკდა და ტრასიდან უზარმაზარი სისწრაფით გავარდნილი ძველი ბორბლების დამცავ კედელში ცხვირით შეერჭო.

ეს ავარია ტყუპისცალივით ჰგავდა 1999 წელს მიხაელ შუმახერის ინგლისურ კოშმარს, თუმც ამჯერად ყველაფერი უტრამვოდ დასრულდა, რვა წლის წინათ კი შუმის ფეხი ორ ადგილას მოსტყდა და ამის გამო ექვსი რბოლის გამოტოვებაც მოუხდა.

საბედნიეროდ, შაბათის ინციდენტს გართულება არ მოჰყოლია, მიუხედავად იმისა, რომ მედიკოსები შოკში მყოფ ლუისის დალეწილი „მაკიდან" ამოყვანას და საკაცით ავტოდრომის მედცენტრამდე ევაკუაციას საკმაო ხანს მოუნდნენ. მერე კი დაშავებული ვერტმფრენით კობლენცის ბუნდესვერჰოსპიტალში გააქანეს, სადაც დაწვრილებითი გამოკვლევის შემდეგ ექიმებმა ჰემილტონს „ნიურბურგრინგზე" გაჯირითების ნება დართეს. ეგაა, ჩემპიონატის ლიდერი სტარტზე ძალიან უკან, მეათე პოზიციაზე იდგა და ამდენად, პრაქტიკულად უკვე დაწყებამდე წაერთვა გამარჯვების შანსი.

პოულ-პოზიცია ფერარელმა კიმი რაიკონენმა მოიპოვა, შვიდწლიან


AFP

კარიერაში მეცამეტედ. „ცივსისხლიანმა" ფინელმა დაძვრისას მეწინავეობა კი შეინარჩუნა, მაგრამ, ეტყობა, „ფერარის" შტაბმა არ დაიჯერა მეტეოროლოგთა ვარაუდი, სამიოდ წუთში გაწვიმდებაო და ბრძოლაც გარდამავალი საბურავებით დაიწყეს. სავალალოდ, ისე გავდრდა, რომ უკვე ორ წრეში ლამის მთელ ქარავანს მოუხდა საბოქსედ სტუმრობა და „ფეხსაცმლის" შეცვლა, მერე კი „სამეფო" მონასტერი ისე აირია, რომ რამდენიმე წუთით რბოლას ახალგამოჩეკილი დებიუტანტი მარკუს ვინკელჰოკი მიუძღოდა წინ, ხოლო ოთხი წრის შემდეგ კოკისპირული თავსხმის გამო რბოლა თითქმის ოცი წუთით შეწყდა და განახლების მერე რადიკალური შედეგებიც მოჰყვა.

რაიკონენის თანაფერარელმა ფელიპე მასამ დაძვრისთანავე შეძლო ორგზის ჩემპიონ ფერნანდო ალონსოს გასწრება და კიმის გამოთიშვის შემდეგ ლამის ბოლომდეც ინარჩუნებდა ლიდერობას, მაგრამ ფინიშამდე ხუთიოდე წრით ადრე მორიგი, უკვე საავდრო მეოთხე პიტსტოპის შემდეგ ნანდო ბოქსებიდან ისეთი „დოპინგით" გამოქანდა, რომ მალე შეძლო წითელი კონკურენტის „ჩაყლაპვა" და დამაჯერებელი გამარჯვებაც იზეიმა.

რაც უმთავრესია, აქამდე ნირწამხდარმა ალონსომ მინიმუმამდე შეამცირა პირველად უქულოდ დარჩენილ თანაგუნდელ ჰემილტონთან ჩამორჩენა და ბუდაპეშტში ორი კვირის შემდეგ საჩემპიონო „ცეცხლი" ახალი ძალით გაჩაღდება.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

**ევროპის დიდი პრიზი**
**22 ივლისი. ნიურბურგი**
დისტანცია 60 წრე — 308,863 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (2) | ალონსო (მაკლარენი) | 2:06.26,4 (202,7 კმ/სთ) |
| 2. | (3) | მასა (ფერარი) | ჩამორჩა 8,2 |
| 3. | (6) | ვებერი (რედ ბული) | 1.05,7 |
| 4. | (12) | ვურცი (უილიამსი) | 1.05,9 |
| 5. | (20) | კულჰარდი (რედ ბული) | 1.13,7 |
| 6. | (4) | ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი) | 1.20,3 |
| 7. | (5) | კუბიცა (BMW-ზაუბერი) | 1.22,4 |
| 8. | (7) | კოვალაინენი (რენო) | 1 წრით |
| 9. | (10) | ჰემილტონი (მაკლარენი) | 1 წრით |
| 10. | (13) | ფიზიკელა (რენო) | 1 წრით |
| 11. | (14) | ბარიკელო (ჰონდა) | 1 წრით |
| 12. | (15) | დევიდსონი (სუპერ აგური) | 1 წრით |
| 13. | (8) | ტრული (ტოიოტა) | 1 წრით |
| **რბოლას გამოეთიშნენ** | | | |
| | (1) | რაიკონენი (ფერარი) | გაიარა 23 წრე |
| | (16) | სატო (სუპერ აგური) | 19 |
| | (9) | შუმახერი (ტოიოტა) | 18 |
| | (22) | ვინკელჰოკი (სპაიკერი) | 14 |
| | (17) | ბატონი (ჰონდა) | 2 |
| | (21) | სუტილი (სპაიკერი) | 2 |
| | (11) | როსბერგი (უილიამსი) | 2 |
| | (18) | სპიდი (ტორო როსო) | 2 |
| | (19) | ლიუცი (ტორო როსო) | 2 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
რაიკონენი 1.31,450 (202,7 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
მასა 1.32,853 (200,0 კმ/სთ)

| Formula 1 | ავსტრალია 18 მარტი | მალაიზია 8 აპრილი | ბაჰრეინი 15 აპრილი | ესპანეთი 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | აშშ 17 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ.ბრიტანეთი 8 ივლისი | ევროპა 22 ივლისი | უნგრეთი 5 აგვისტო | თურქეთი 26 აგვისტო | იტალია 9 სექტემბერი | ბელგია 16 სექტემბერი | იაპონია 30 სექტემბერი | ჩინეთი 7 ოქტომბერი | ბრაზილია 21 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ჰემილტონი, მაკლარენი, დ. ბრიტანეთი | 6 | 8 | 8 | 8 | 8 | ■ 10 | ■ 10 | 6 | ■ 6 | – | | | | | | | | 70 |
| 2 ალონსო, მაკლარენი, ესპანეთი | 8 | 10 | 4 | 6 | ■ 10 | 2 | 8 | 2 | 8 | 10 | | | | | | | | 68 |
| 3 მასა, ფერარი, ბრაზილია | 3 | ■ 4 | ■ 10 | ■ 10 | 6 | – | 6 | ■ 8 | 4 | 8 | | | | | | | | 59 |
| 4 რაიკონენი, ფერარი, ფინეთი | ■ 10 | 6 | 6 | – | 1 | 4 | 5 | 10 | 10 | ■ – | | | | | | | | 52 |
| 5 ჰაიდფელდი, BMW-ზაუბერი, გერმანია | 5 | 5 | 5 | – | 3 | 8 | – | 4 | 3 | 3 | | | | | | | | 36 |
| 6 კუბიცა, BMW-ზაუბერი, პოლონეთი | – | – | 3 | 5 | 4 | – | | 5 | 5 | 2 | | | | | | | | 24 |
| 7 ფიზიკელა, რენო, იტალია | 4 | 3 | 1 | – | 5 | – | – | 3 | 1 | – | | | | | | | | 17 |
| 8 კოვალაინენი, რენო, ფინეთი | – | 1 | – | 2 | – | 5 | 4 | – | 2 | 1 | | | | | | | | 15 |
| 9 ვურცი, უილიამსი, ავსტრია | – | – | – | – | 2 | 6 | – | – | – | 5 | | | | | | | | 13 |
| 10 ვებერი, რედ ბული, ავსტრალია | – | – | – | – | – | – | 2 | – | – | 6 | | | | | | | | 8 |

კულჰარდი — 8, ტრული — 7, როსბერგი — 5, სატო — 4, შუმახერი — 2, ფეტელი — 1, ბატონი — 1 ქულა

■ პოულ-პოზიცია

**კონსტრუქტორთა თასი**

| | ავსტრალია | მალაიზია | ბაჰრეინი | ესპანეთი | მონაკო | კანადა | აშშ | საფრანგეთი | დ.ბრიტანეთი | ევროპა | უნგრეთი | თურქეთი | იტალია | ბელგია | იაპონია | ჩინეთი | ბრაზილია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მაკლარენი | 14 | 18 | 12 | 14 | 18 | 12 | 18 | 8 | 14 | 10 | | | | | | | | 138 |
| 2 ფერარი | 13 | 10 | 16 | 10 | 7 | 4 | 11 | 18 | 14 | 8 | | | | | | | | 111 |
| 3 BMW-ზაუბერი | 5 | 5 | 8 | 5 | 7 | 8 | 1 | 9 | 8 | 5 | | | | | | | | 61 |
| 4 რენო | 4 | 4 | 1 | 2 | 5 | 5 | 4 | 3 | 3 | 1 | | | | | | | | 32 |
| 5 უილიამსი | 2 | – | – | 3 | 2 | 6 | – | – | – | 5 | | | | | | | | 18 |

რედ ბული — 16, ტოიოტა — 9, სუპერ აგური — 4, ჰონდა — 1 ქულა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 23 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 109 | ვოლერენგა-ტრომსიო | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 23 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 130 | ბანკეფლო-ჰეკენი | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |
| 21:00 | 131 | ენჩიოპინგი-ფალკენბერგი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 21:00 | 132 | ლიუნგსკილე-ნორჩიოპინგი | 3.50 | 3.30 | 1.85 | 1.69 | 1.21 | 1.18 |
| 21:00 | 133 | სილვია-იოსტერსი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 22:45 | 134 | იონკოპინგი-იორგრიტე | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 23 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 125 | ბრომაპოიკარნა-ტრელებორგი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 21:00 | 126 | ჰელსინგბორგი-აიკ | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 23 ივლისი | | | | | | |
| 19:30 | 144 | კტპ-ვიიკინგიტი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 20:00 | 145 | ლაჰტი-მარიეჰამნი | 1.80 | 3.20 | 4.10 | 1.15 | 1.25 | 1.79 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10109 | ვოლერენგა-ტრომსიო | 2.20 | 2.00 | 4.30 | 1.04 | 1.45 | 1.36 |
| 10125 | ბრომაპოიკარნა-ტრელებორგი | 2.30 | 2.00 | 3.80 | 1.06 | 1.43 | 1.31 |
| 10126 | ჰელსინგბორგი-აიკ | 2.55 | 2.00 | 3.45 | 1.12 | 1.46 | 1.26 |
| 10130 | ბანკეფლო-ჰეკენი | 2.90 | 2.00 | 2.80 | 1.18 | 1.42 | 1.16 |
| 10131 | ენჩიოპინგი-ფალკენბერგი | 2.45 | 2.00 | 3.60 | 1.10 | 1.45 | 1.28 |
| 10132 | ლიუნგსკილე-ნორჩიოპინგი | 3.80 | 2.10 | 2.25 | 1.35 | 1.41 | 1.08 |
| 10133 | სილვია-იოსტერსი | 3.00 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.47 | 1.18 |
| 10134 | იონკოპინგი-იორგრიტე | 3.30 | 2.00 | 2.60 | 1.24 | 1.45 | 1.13 |
| 10144 | კტპ-ვიიკინგიტი | 2.20 | 2.00 | 4.40 | 1.04 | 1.46 | 1.37 |
| 10145 | ლაჰტი-მარიეჰამნი | 2.25 | 2.00 | 4.30 | 1.05 | 1.47 | 1.36 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11109 | ვოლერენგა-ტრომსიო | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11125 | ბრომაპოიკარნა-ტრელებორგი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11126 | ჰელსინგბორგი-აიკ | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11130 | ბანკეფლო-ჰეკენი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11131 | ენჩიოპინგი-ფალკენბერგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11132 | ლიუნგსკილე-ნორჩიოპინგი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11133 | სილვია-იოსტერსი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11134 | იონკოპინგი-იორგრიტე | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11144 | კტპ-ვიიკინგიტი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11145 | ლაჰტი-მარიეჰამნი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12109 | ვოლერენგა-ტრომსიო | 1.90 | 1.70 |
| 12125 | ბრომაპოიკარნა-ტრელებორგი | 1.70 | 1.90 |
| 12126 | ჰელსინგბორგი-აიკ | 1.85 | 1.70 |
| 12130 | ბანკეფლო-ჰეკენი | 1.90 | 1.70 |
| 12131 | ენჩიოპინგი-ფალკენბერგი | 1.90 | 1.70 |
| 12132 | ლიუნგსკილე-ნორჩიოპინგი | 2.00 | 1.60 |
| 12133 | სილვია-იოსტერსი | 1.90 | 1.70 |
| 12134 | იონკოპინგი-იორგრიტე | 1.90 | 1.70 |
| 12144 | კტპ-ვიიკინგიტი | 1.70 | 1.90 |
| 12145 | ლაჰტი-მარიეჰამნი | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13109 | ვოლერენგა-ტრომსიო | 1.60 | 2.00 |
| 13125 | ბრომაპოიკარნა-ტრელებორგი | 1.70 | 1.90 |
| 13126 | ჰელსინგბორგი-აიკ | 1.70 | 1.90 |
| 13130 | ბანკეფლო-ჰეკენი | 1.55 | 2.00 |
| 13131 | ენჩიოპინგი-ფალკენბერგი | 1.55 | 2.00 |
| 13132 | ლიუნგსკილე-ნორჩიოპინგი | 1.55 | 2.00 |
| 13133 | სილვია-იოსტერსი | 1.55 | 2.00 |
| 13134 | იონკოპინგი-იორგრიტე | 1.55 | 2.00 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14109 | ვოლერენგა-ტრომსიო | 1.65 | 2.30 |
| 14125 | ბრომაპოიკარნა-ტრელებორგი | 1.70 | 2.20 |
| 14126 | ჰელსინგბორგი-აიკ | 1.75 | 2.10 |
| 14130 | ბანკეფლო-ჰეკენი | 1.95 | 1.85 |
| 14131 | ენჩიოპინგი-ფალკენბერგი | 1.70 | 2.20 |
| 14132 | ლიუნგსკილე-ნორჩიოპინგი | 2.30 | 1.65 |
| 14133 | სილვია-იოსტერსი | 1.95 | 1.85 |
| 14134 | იონკოპინგი-იორგრიტე | 2.10 | 1.75 |
| 14144 | კტპ-ვიიკინგიტი | 1.65 | 2.30 |
| 14145 | ლაჰტი-მარიეჰამნი | 1.65 | 2.30 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15109 | ვოლერენგა-ტრომსიო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15125 | ბრომაპოიკარნა-ტრელებორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15126 | ჰელსინგბორგი-აიკ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15130 | ბანკეფლო-ჰეკენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15131 | ენჩიოპინგი-ფალკენბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15132 | ლიუნგსკილე-ნორჩიოპინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15133 | სილვია-იოსტერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15134 | იონკოპინგი-იორგრიტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15144 | კტპ-ვიიკინგიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15145 | ლაჰტი-მარიეჰამნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16109 | ვოლერენგა-ტრომსიო | 1.30 | 3,00 |
| 16125 | ბრომაპოიკარნა-ტრელებორგი | 1.38 | 2.65 |
| 16126 | ჰელსინგბორგი-აიკ | 1.52 | 2.20 |
| 16130 | ბანკეფლო-ჰეკენი | 1.80 | 1.85 |
| 16131 | ენჩიოპინგი-ფალკენბერგი | 1.40 | 2.55 |
| 16132 | ლიუნგსკილე-ნორჩიოპინგი | 2.40 | 1.45 |
| 16133 | სილვია-იოსტერსი | 1.80 | 1.85 |
| 16134 | იონკოპინგი-იორგრიტე | 2.05 | 1.65 |
| 16144 | კტპ-ვიიკინგიტი | 1.30 | 3.00 |
| 16145 | ლაჰტი-მარიეჰამნი | 1.30 | 3.00 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17109 | ვოლერენგა-ტრომსიო | 1.85 | 1.95 |
| 17125 | ბრომაპოიკარნა-ტრელებორგი | 1.85 | 1.95 |
| 17126 | ჰელსინგბორგი-აიკ | 1.85 | 1.95 |
| 17130 | ბანკეფლო-ჰეკენი | 1.85 | 1.95 |
| 17131 | ენჩიოპინგი-ფალკენბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17132 | ლიუნგსკილე-ნორჩიოპინგი | 1.85 | 1.95 |
| 17133 | სილვია-იოსტერსი | 1.85 | 1.95 |
| 17134 | იონკოპინგი-იორგრიტე | 1.85 | 1.95 |
| 17144 | კტპ-ვიიკინგიტი | 1.85 | 1.95 |
| 17145 | ლაჰტი-მარიეჰამნი | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# სამჯერ ორმოცი ამერიკელთათვის

**დევიდ ბექემს** „ლოს ანჯელეს გალაქსის" შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა, შეცვლაზე შევიდა. მართალია, მისმა ამერიკულმა გუნდმა წააგო, მაგრამ თავის დამშვიდებაც შეიძლება — „გალაქსი" „ჩელსისთან" დამარცხდა და თან მხოლოდ 0:1.

შეხვედრაში, რომელსაც ლოს ანჯელესის სტადიონზე ხალხის არნახულად დიდი რაოდენობა, 27 ათასი ესწრებოდა, ერთადერთი გოლი ლონდონელი „ლურჯების" კაპიტანმა ჯონ ტერიმ 49-ე წუთზე გაიტანა.

და რა ქნა ამ შეხვედრის მთავარმა ინტრიგამ? ინტრიგა, ანუ დევიდ ბექემი მოედანზე სულ 10 წუთით შევიდა და მხოლოდ რამდენჯერმე შეეხო ბურთს. საინტერესო მხოლოდ ის გახლდათ, რომ ის ნახევარდაცვის ცენტრში მოგვევლინა.

იყო კიდევ ერთი მომენტი, რომლის ცალკე აღნიშვნაც, ვფიქრობთ, ამ მატჩის წინაისტორიიდან და შინაარსიდან გამომდინარე, აუცილებელია — მსაჯის წამატებულ წუთებში სტივ სიდუელმა ბექემს ლაზათიანი, პრემიერლიგური ორთაბრძოლა აგემა, რის შემდეგაც ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი სახეზე ტკივილის გრიმასით ცოტა ხანს მოედანზე იწვა.

მატჩისშემდეგომ პრესკონფერენციაზე მადრიდის „რეალის" ყოფილმა ვარსკვლავმა განაცხადა, რომ „ლოს ანჯელეს გალაქსიში" პირველი თამაშის გადაგორებამ დიდი შვება მოჰგვარა.

„მესიამოვნა კვლავ მოედანზე გასვლა და ბურთის გაგორება — თქვა ბექზმა — მთელი კვირაა, ტრავმის გამო არ მივარჯიშია და მას მერე ბურთს პირველად დღეს გავკარი ფეხი. სასიამოვნო იყო ბიჭებთან ერთად თამაშის დაჭაშნიკებაც. მოკლედ, დღეს დიდი სიამოვნება მივიღე".

შემდეგ ბექემმა „გალაქსის" ფეხბურთელები იმის გამო შეაქო, რომ ისინი ისეთ მრისხანე გუნდს, როგორიც „ჩელსია", უშიშრად დაუდგნენ და ყოჩაღი წინააღმდეგობა გაუწიეს.

„მათ 1:0-ის მეტი არ მოვაგებინეთ და თავადაც გვქონდა მომენტები" — თქვა ბექემმა.

ტერის გოლი კი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, საჯარიმოს კიდიდან დარტყმით გავიდა.

მატჩის შემდეგ საპრესკონფერენციო ოთახში იყო ლონდონელთა მწვრთნელი ჟოზე მაურინიუც: „ვფიქრობ, დღეს ბექემისთვის კარგი თამაში იყო, რადგან ამერიკელმა მაყურებელმა ნახა, რომ მას შეუძლია ათ წუთში ორი თუ სამი 40-მეტრიანი პასი შეასრულოს, მით უფრო ისეთ გუნდთან შეხვედრაში, როგორიც „ჩელსია" — თქვა მან.

**ბაკურა ძიძია**



AFP

## გერმანია

### ლიგის თასი. 1/4 ფინალი

**შალკე 1:0 კარლსრუე**

1:0 ალტინტოპი (35)

*ჰაინალმა ვერ გაიტანა პენალტი (6, მეკარე)*

შალკე: ნოიერი, ბოენიში, ბორდონი, კრსტაიჩი, პანდერი, ფ. ერნსტი, ქობიაშვილი, რაკიტიჩი (აზაუაგი 64), ასამოა (ბაირამოვიჩი 77), ლოვენკრანდსი, ჰალილ ალტინტოპი (ჯონსი 85)

მწვრთნელი: მირკო სლომკა

კარლსრუე: მ. მილერი, გიორლიცი, ეგიმენი, ფრანცი, აიხნერი, მუტცელი (ფრაისი 79), ადუბე (შტაფელდტი 70), იაშვილი (ტიმი 62), ჰაინალი, კარნელი, კაპლანი

მწვრთნელი: ედმუნდ ბეკერი

გაფრთხილება: რაკიტიჩი, ჰაინალი

მსაჯი: ზეემანი

51 300 მაყურებელი

**ვერდერი 1:4 ბაიერნი**

1:0 ბოროვსკი (9), 1:1 შვაინშტაიგერი (23), 1:2 ალტინტოპი (27), 1:3, 1:4 რიბერი (35, 543)

ვერდერი: ვიზე, კ. ფრიცი, მერტესაკერი, ბაუმანი, ვომე, ლ. ანდრეასენი (ნიმეიერი 74), ვრანიეში (კ. შულცი 46), ბოროვსკი, ფრინგსი (ლიონინგი 74), როზენბერგი, შინდლერი

მწვრთნელი: თომას შაფი

ბაიერნი: კანი, ლამი, ლუსიო, დემიკელისი, იანსენი, ვან ბომელი (ოტლი 66), ზე რობერტო, ჰამიტ ალტინტოპი, შვაინშტაიგერი (ლელი 84), რიბერი (ს. ვაგნერი 81), კლოზე

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

გაფრთხილება: ვომე, დემიკელისი, ანდრეასენი, კანი, შულცი

მსაჯი: კინჰოფერი

52 000 მაყურებელი

### ნახევარფინალი

24 ივლისი

**ნიურნბერგი — შალკე**

25 ივლისი

**შტუტგარტი — ბაიერნი**

# ფულის დუბლი

## რიბერის ჰიცფელდმა უკარნახა

**25 მილიონად** შეძენილმა ფრანკ რიბერიმ დუბლი შეასრულა პირველ ოფიციალურ მატჩში, „ბაიერნმა" კი „ვერდერს" მოუგო და გერმანიის ლიგის თასის ნახევარფინალში გავიდა. ტრადიციული საზაფხულო შეჯიბრის საპრიზო ფონდი 5 მილიონ 200 ათასი ევროა. ლიგის თასის გათამაშებაში მონაწილეობენ: წინა სეზონში პირველ-მეოთხე ადგილზე გასული გუნდები გერმანიის თასის მფლობელი „ნიურნბერგი" და მეორე ბუნდესლიგის ჩემპიონი „კარლსრუე".

მიუნხენის „ბაიერნი" „ვერდერთან" დაწყვილდა, „შალკეს" კი „კარლსრუე" ერგო და ჰალილ ალტინტოპის გოლით მოუგო.

ნახევარფინალში ზეგ, ოთხშაბათს, „შტუტგარტი" „ბაიერნს" შეხვდება, „შალკე" კი — „ნიურნბერგს". ფინალი შაბათს ლაიპციგში გაიმართება.

„ვერდერი" ტიმ ბოროვსკიმ დააწინაურა, მაგრამ „ბაიერნის" ფრანგმა რიბერიმ გაიბრწყინა და ოტმარ ჰიცფელდის შეგირდებმა 11-წუთიან მონაკვეთში სამი გოლი შეაგდეს.

„ცუდად დავიწყეთ, მაგრამ 20 წუთის შემდეგ დავამტკიცეთ, რომ „ბაიერნი" უფრო ძლიერია. ძალიან კარგი მატჩი გამოვიდა და ორი გოლით ბედნიერი ვარ. ჰიცფელდმა ნახევარი საათის შემდეგ მითხრა, რომ კლოზესთან ახლოს მეთამაშა და შედეგად კიდევ ორი გოლი გავიტანეთ. დასაწყისი საუცხოოა, მაგრამ გრძელი და რთული გზა გველის" — თქვა 24 წლის რიბერიმ.

გახარებული იყო „ბაიერნის" მენეჯერი ული ჰიონესი: „ფრანკი შესანიშნავად გაისარჯა და მეტიც შეუძლია. ჯერ კიდევ აკლია შეთამაშება თანაგუნდელებთან, მაგრამ რაც გააკეთა, უკვე გვაიმედებს".

„ვერდერიდან" „ბაიერნში" გადასული მიროსლავ კლოზეს დებიუტიც შედგა ყოფილი გუნდის წინააღმდეგ და დიუსელდორფის სტადიონზე ვერდერელი ფანები სტვენით შეხვდნენ.

„უსამართლობაა, როცა ასე გექცევიან — განაცხადა ჰიონესმა კლოზეზე — „ვერდერის" შეფობამ თავისი კლუბის ქომაგებს წესიერებისკენ უნდა მოუწოდოს".

შარშან ზაფხულს ლიგის თასის ფინალში „ბაიერნმა" „ვერდერთან" 0:2 წააგო, წლეულს კი ერთი საათი დასჭირდა სარევანშოდ.

მე-9 წუთზე ბოროვსკიმ ანგარიში გახსნა, ამის მერე კი მხოლოდ „ბაიერნს" გაჰქონდა.

ბასტიან შვაინშტაიგერმა გაათანაბრა, ხოლო „შალკედან" ნაყიდმა ჰამიტ ალტინტოპმა პირველი ბაიერნული გოლი მიითვალა და თავისიანები დააწინაურა. მერე იყო რიბერის გოლი — დაახლოებით ოცი მეტრიდან, ხოლო მეორე ტაიმში პიერ ვომემ ხელით თამაშისთვის პენალტი მიართვა „ბაიერნს" და ფრანგმაც უზადოდ შეასრულა.

**ვაჟა ხუციშვილი**


ფრანკ რიბერი და მიროსლავ კლოზე

## ტრისტანი ლუკარელის ნაცვლად

**ესპანელი** ფორვარდი დიეგო ტრისტანი იტალიურ „ლივორნოში" გადავიდა. 31 წლის ფეხბურთელმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მას კონტრაქტი დაუსრულდა „მალიორკასთან" და თავისუფალი აგენტი გახდა. ერთ სეზონში იგი 470 ათას გირვანქას მიიღებს და კარგად თუ ითამაშებს, ხელშეკრულებას გაუხანგრძლივებენ.

ტრისტანმა „მალიორკაში" 13 მატჩში ერთი გოლი გაიტანა. 2001-2002-ის სეზონში იგი პრიმერადივიზიონის მთავარმეგოლე გახდა.

„ლივორნოში" მისი მეწყვილე ფრანჩესკო ტავანო იქნება.

დიეგო ტრისტანი კრისტიანო ლუკარელის შეცვლის, რომელიც დონეცკის „შახტარმა" იყიდა.

## დონი ისვენებს და ფიქრობს

**„კოპა ამერიკას"** მომგები, „რომას" ბრაზილიელი მეკარე ალეშანდრო დონი კლუბიდან წასვლას არ აპირებს.

„დონი ახლა სამშობლოშია და ისვენებს — თქვა აგენტმა მარიო მიკელემ — მისი კონტრაქტი 2009-ში იწურება, მაგრამ მეკარე გახანგრძლივებას აპირებს. ამაზე საუბარი წლეულსვე შედგება".

## კასტილიომ უცნაური თქვა

**„ცრვენა ზვეზდას"** ნახევარმცველმა სეგუნდა კასტილიომ განაცხადა, რომ „იუვენტუსში" გადადის. 25 წლის კოლუმბიელის სერბულ მედიასთან ნათქვამმა გაოცება გამოიწვია, რადგან კასტილიოს ტრანსფერზე „იუვეში" აქამდე კრინტი არავის დაუძრავს.

„მომავალ სეზონში „იუვენტუსში" ვითამაშებ. ოთხშაბათს ტურინულ კლუბთან კონტრაქტს გავაფორმებ" — თქვა კოლუმბიელმა.

## ტაკინარდიმ დაასრულა

**ალესიო ტაკინარდიმ** 11 სეზონი შეალია „იუვენტუსს" და გუშინწინ ბოლო კონტრაქტის ვადა ამოეწურა.

„ალესიოს ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებთ და მადლობლები ვართ ერთგულებისთვის" — ნათქვამია „იუვენტუსის" ოფიციალურ განცხადებაში. ტაკინარდი გასულ სეზონში „ვილიარეალში" იყო განათხოვრებული. „იუვეში" მან ხუთი „სკუდეტო", ჩემპიონთა ლიგა, საკონტინენტთაშორისო თასი, ევროპის სუპერთასი, იტალიის თასი და იტალიის ოთხი სუპერთასი მოიგო. 404 მატჩი ითამაშა „ბებერი ქალბატონის" მაისურით, მაგრამ კლუბმა აღარ დაიტოვა, რადგან მის ადგილზე ტიაგუ მენდეში და სერხიო ალმირონი იყიდა.

„იუვე" დატოვა ნახევარმცველმა ჯულიანო ჯანიკედამაც.

## ბარტონი ორთვიანში

**„ნიუკასლის"** ახალწვეულმა ჯოი ბარტონმა ტრავმა მიიღო „კაისლისთან" ამხანაგურ მატჩში და პრემიერლიგის დასაწყისს გამოტოვებს. ექიმების თქმით, „სიტიდან" გადასულ ბრიტანელს ორთვიანი მკურნალობა დასჭირდება.

მსუბუქად დაშავდა მაიკლ ოუენიც, რომელსაც ერთ კვირაში გამოაკეთებენ.

გარდა ამისა, ინგლისური მედიის ცნობით, „ნიუკასლი" ჟულიო ბაპტისტას გადაბირებას აპირებს. ბრაზილიელი ნახევარფინალი „რეალს" ეკუთვნის და წინა სეზონში „არსენალში" იყო განათხოვრებული.

**ვაჟა ხუციშვილი**

# შეშლილი, შეშლილი, შეშლილი კორეა

## ფერგი გეგმის გარეშე


კრიშტიანუ რონალდუ

AFP

**კრიშტიანუ რონალდუ** შორეულ აღმოსავლეთში ბექჰემანიას ამარცხებს — „მანჩესტერ იუნაიტედის“ პორტუგალიელი ვარსკვლავი აგერ უკვე მეორე აზიურ-ამხანაგური მატჩია, საუკეთესო მოთამაშის ჯილდოს იღებს.

მაგრამ ჯილდო მაინც უსულო საგანია და კარგად ვერ გამოხატავს იმ დამოკიდებულებას, „იუნაიტედის“ ახალგაზრდა ვარსკვლავის მიმართ აზიელ გულშემატკივარს რომ ჩამოუყალიბდა — ისტერია, აი, რა ჰქვია იმ ქცევას, რონალდუს დრიბლინგლისა და მიხრა-მოხრის დროს რომ შეიპყრობს ხოლმე სტადიონს. ასეთი რამ დევიდ ბექჰემის შემდეგ არ გაგონილა.

შაბათს, როდესაც სეულის სტადიონის ტაბლოზე პორტუგალიელის დიდი გამოსახულება დაიხატა, 65 ათასი კორეელი, არც მეტი, არც ნაკლები, გაგიჟდა, რაც, როგორც შემდგომ ინტერვიუებში გაირკვა, გასული პრემიერლიგური სეზონის საუკეთესო ფეხბურთელს — როგორც საფეხბურთო მიმომხილველთა, ასევე ფეხბურთელთა გამოკითხვით — ძალიანაც მოსწონს.

„ამ შეხვედრაში სტადიონზე საუცხოო ატმოსფერო სუფევდა — უთხრა 22 წლის ვარსკვლავმა ჟურნალისტებს — აქ თამაში უდიდესი სიამოვნებაა და ძალიან მინდა, გაისადაც ჩამოვიდე კორეაში“.

როგორც დაკვირვებულმა ხალხმა აღნიშნა, რონალდუსა და ბექჰემის პოპულარობას შორის მაინც არის განსხვავება. ბექჰემის ბრენდი მაინც მის სახეზე იყო აწყობილი, რონალდუსი კი „ფეხებზე დგას“.

შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ პირველ აზიურ შეხვედრაში, ტოკიოს სტადიონზე, „ურავა რედ დაიმონდზთან“ 2:2 ითამაშა და იმ შეხვედრაში თავი კრიშტიანუ რონალდუმ გამოიჩინა. მანვე ივაჟკაცა სეულშიც, კლუბ „სეულთან“, რომელსაც „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 4:0 აჯობა.

ანგარიში მე-6 წუთზე სწორედ პორტუგალიელმა გახსნა, მე-18 და მე-20 წუთებზე კი კრის იგლზს და უეინ რუნის გაატანინა. მეორე ტაიმში მეოთხე და ბოლო გოლი პატრის ევრამ შეაგდო.

მანჩესტერელთა მცველი ვეს ბრაუნი: „რონალდუ ძველებურად მშვავედ თამაშობს და მე თუ მკითხავთ, კიდევ უფრო მოუმატებს. ამ აზიურ ტურში მან უკვე გვაჩვენა, რომ გამარჯვებები სწყურია. მან, ბუნებრივია, კარგად იცის, რომ გასული სეზონის მიღწევა, პრემიერლიგის ჩემპიონობა, ძალიან კარგია, მაგრამ ისევე, როგორც დანარჩენ მანჩესტერელებს, ახალ სეზონში მეტის მიღწევა სურს“.

მანჩესტერელთა მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი: „შედეგმა მასიამოვნა. სხვათა შორის, პირველ მატჩთან შედარებით მეორეში მეტოქე ჩვენს წინააღმდეგ უფრო გამალებით მოქმედებდა, მაგრამ, ვფიქრობ, ფეხბურთელებმა ამ სირთულეს თავი კარგად გაართვეს“.

და, აბა, ისე როგორ იქნებოდა, სიტყვა „ჩელსიზე“ არ ჩამოვარდნილიყო და მანჩესტერელებს ლონდონელებისთვის არ გაეკრათ კბილი.

„იუნაიტედის“ აღმასრულებელი შეფი დევიდ გილი:

„რამდენიმე წელია, „ჩელსი“ ზაფხულობით ამერიკაში მიდის და დიდებულ დროს ატარებს, რაც მშვენიერია, მაგრამ ჩვენ ჩვენი ისტორიით, მდგომარეობით, მემკვიდრეობით და პოპულარობით ძალიან კმაყოფილები გახლავართ. განა ამერიკა ოდესმე იყო ან იქნება ისეთი ვნებიანი და ჟინიანი, როგორიც აზიაა? მე მგონი, არა. აზიაში პრემიერლიგა და, კერძოდ, „მანჩესტერი“ ძალიან აინტერესებთ. აქ ვგრძნობთ, რომ გავიზარდეთ და კიდევ უფრო პოპულარულები გავხდით“.

მაგრამ, როგორც ირკვევა, უპრობლემოდ თვით პოპულარული და დიდი ისტორიის მქონე კლუბებიც არ არიან. კარლოს ტევესის ტრანსფერზე მოგახსენებთ. როგორც გაირკვა, ალექს ფერგიუსონს სათადარიგო ვარიანტი არ მოუფიქრებია და იმ შემთხვევაში, თუ არგენტინელ ფორვარდს ვერ იყიდის, „იუნაიტედი“ სასურველ დღეში არ ჩავარდება.

შეგახსენებთ, რომ 23 წლის ტევესის ამბავი მხარეებმა ფიფას კარამდე მიიტანეს. „მანჩესტერ იუნაიტედს“ არგენტინელის ყიდვა უნდა. მასზე ეკონომიკური უფლებები კია ჯურაბჩიანის ფირმას MSI-ს აქვს, თუმცა იმავდროულად ფეხბურთელი „ვესტ ჰემთანაც“ არის კონტრაქტით შეკრული და ორივე მხარე თავისას ითხოვს, ხოლო „იუნაიტედს“ ერთი „საქონლის“ ორჯერ ყიდვა, ბუნებრივია, არ უნდა.

და მაინც, ალექს ფერგიუსონი იმედს არ კარგავს:

„დარწმუნებული ვარ, კარლოს ტევესი საბოლოოდ ჩვენი გახდება, რასაც სიამოვნებით დაველოდები. მაგრამ, თუ შევატყობ, რომ ტრანსფერს ვერ ვახერხებთ, გეგმებს შევცვლი, თუმცა ამწუთას ნამდვილად ვერ გეტყვით, რას და როგორ გავაკეთებ, რადგან სათადარიგო გეგმა არ გამაჩნია“.

ცნობილი გახდა, რომ ფიფამ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენლებს ტევესის საქმეზე შეხვედრა დაუთქვა.

„რამდენადაც მე გავიგე, ფიფას პრემიერლიგის კი არა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენლები შეხვდებიან — განმარტა მსოფლიო ფეხბურთის შეფთა პრეს-ატაშემ ანდრეას ჰერენმა და დასძინა — თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ შეხვედრას ვინმე პრემიერლიგიდანაც დაესწროს“.

და კიდევ ერთი პრობლემა, ისიც არგენტინელთან დაკავშირებული: გაბრიელ ჰაინცემ, რომელსაც „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ „ლივერპულში“ სურდა გადასვლა, შესაძლოა, სასამართლოში იჩივლოს. მიზეზი: ჰაინცე ამბობს, რომ მას აქვს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ოფიციალური წერილი, რომელშიც კლუბი მასში 6 მილიონ გირვანქას ითხოვს, ალექს ფერგიუსონს კი დაუჩემებია, ვარჯიშზე რატომ არ არის, რა გაყიდვა, რის გაყიდვაო.

„გაბი „კოპა ამერიკას“ შემდეგ შვებულებაშია. ის დაიღალა და ისვენებს — განმარტა ფერგიუსონმა — ორ კვირაში მას ჩვეულებრივ ველოდები კერინგტონში ვარჯიშზე. ჩვენ და მან ორივემ კარგად ვიცით, რომ მთელი ეს არეულობა მისი აგენტის გამოგონებულია. მისი აგენტები საურთიერთოდ მეტად მძიმე ხალხია, ამიტომ ყველაფერს მშვიდად უნდა შეხედვა“.

**ბაჩუნა ბედია**


ფრანკ რაიკარდი

# ანრი 2 ბარსა 2-ში

**„ბარსელონა“** ახალგაზრდა ნიგერიელით, ანრი ოდიათი დაინტერესდა.

„ანრი ოდიას შეძენა „ბარსას“, „ესპანიოლს“ და „ჩელსის“ სურთ. ახლა ფეხბურთელი შესანიშნავ ფორმაშია, ამიტომაც მოუთმენლად ველით, გრანდები რას გადაწყვეტენ“ — განაცხადა აფრიკელი ბიჭუნას აგენტმა მარსელო ჰაუსმანმა.

ოდიას სამშობლოში ნიგერიული ფეხბურთის ყველაზე გამორჩეულ ნორჩ ფეხბურთელად მიიჩნევენ. ქვეყნის 17-წლამდელთა ნაკრების წევრი ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა სანი ლულუ აბდულაჰიმ აღმოაჩინა და მწვრთნელ იამი ტელას ურჩია, ბიჭი ეროვნულში მოეწვია.

ახალგაზრდა მოთამაშის ოსტატობით ნიგერიამ ტოგოში გამართული აფრიკის ჩემპიონატი მოიგო. ეს მარტში მოხდა, იამი ტელა კი ოდიას 17-წლამდელთა მუნდიალზეც მიიწვევს, რომელიც აგვისტოში სამხრეთ კორეაში ჩატარდება.

სავარაუდოდ, კატალონიაში გადასვლის შემდეგ ოდია „ბარსელონა B“-ში ითამაშებს. წარმატების შემთხვევაში კი ნიგერიულ სასწაულს (კატალონიურმა გაზეთებმა მისი მონათვლა უკვე მოასწრეს) ძირითად გუნდშიც ვიხილავთ.

**ლადო ხომერიკი**

# რონალდინიო მილანისთვის გრძელდება


რონალდინიო და ტიერი ანრი: „ბარსელონამ“ ვარჯიში დაიწყო

AFP

**იტალიურ** მედიაში ისევ ამოტივტივდა რონალდინიოს ამბავი. ამბობენ, რომ სილვიო ბერლუსკონი ბრაზილიელში 85 მილიონ გირვანქას იხდის.

თითქმის წელიწადია, „მილანს“ რონალდინიოს შეძენა უნდა, მაგრამ „ბარსამ“ არაერთხელ განაცხადა, რომ ფეხბურთელი არ იყიდება. ამას წინათ ადრიანო გალიანიმ თქვა, ვარსკვლავების შეძენას აღარ ვაპირებთო, თუმც გაზეთები სხვას წერენ. თითქოს რონალდინიომ უკვე შეათანხმა პირადი კონტრაქტის პირობები „მილანთან“.

ფრანკ რაიკარდის თქმით, ეტოოს, მესის, რონალდინიოსა და ანრის ერთად ათამაშებს ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ იტალიელი ფეხბურთმცოდნეები ამტკიცებენ, ეს შეუძლებელია და ერთ-ერთის გაყიდვა მოუწევთო. სწორედ ამიტომ ტრიალებს მედიაში რონალდინიოს გვარი. იტალიელების აზრით, „ბარსას“ პრეზიდენტი ხუან ლაპორტა ბრაზილიელს დათმობს, ოღონდ იმ თანხის სანაცვლოდ, რაც ფეხბურთელის კონტრაქტის გაწყვეტას სჭირდება.

მოკლედ, ჩახლართული ამბავია, რადგან ივნისში სილვიო ბერლუსკონიმ გაამხილა ხუან ლაპორტას ნათქვამი: „რონალდინიოს თუ გავყიდი, ქვეყნიდან აბარგება მომიწევს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფული, კაკა, ბევრი ფული!

## რეალი 100 მილიონს იხდის



**მილანურ-მადრიდული** სატრანსფერო კეკლუცობა კვლავ გრძელდება. „რეალი“ თავის ოცნებასთან, კაკასთან განშორებას არ აპირებს და მზადაა, აპენინურ კლუბს ბრაზილიელის სანაცვლოდ ასტრონომიული თანხა გადაუხადოს.

საქმეში ყველაზე მეტად ჩახედული ბოსკო ლეიტეა, ვინც კაკას მამა და აგენტია. სწორედ ბოსკოსგან შეიტყო „კორიერე დელო სპორტმა“, რომ „რეალი“ ბრაზილიელს რვაწლიან კონტრაქტს სთავაზობს და წლიურ ჯამაგირად 10 მილიონ ევროს ალუთქვამს (პლუს სამი მილიონი სარეკლამო შემოსავალი). საერთო ჯამში, თუ კაკამ „რეალში“ გადასვლა აირჩია, 8 წლის განმავლობაში 104 მილიონ ევროს მიიღებს.

და რას იმეტებს „რეალი“ ბრაზილიელის სანაცვლოდ? 100 მილიონ ევროს, რამაც შეიძლება, „მილანს“ თავის ვარსკვლავთან განშორება გადააწყვეტინოს. თუ „როსონერი“ გარიგებაზე დათანხმდა, კაკას ტრანსფერი ყველაზე ძვირი იქნება ფეხბურთის ისტორიაში.

შეგახსენებთ, რომ ახლანდელი რეკორდიც „რეალს“ უკავშირდება — 2001 წელს ზინედინ ზიდანი „იუვენტუსისგან“ 72 მილიონ ევროდ იყიდა.

„მილანის“ თავკაცობა მომავალ კვირაში კაკასთან და მამამისთან შეხვედრას გეგმავს, რათა ბრაზილიელი დარჩენაზე დაითანხმონ. მაგრამ სილვიო ბერლუსკონის კლუბი ფორვარდს მადრიდელებივით გულუხვ ანაზღაურებას ვერ ჰპირდება. „მილანის“ განზრახვაა, კაკას 2012 წლამდე სეზონში 8 მილიონი გადაუხადოს, 5 მილიონი ევროთი ნაკლები, რისი მიცემაც „რეალს“ შეუძლია.

რა გამოდის? ის, რომ „რეალს“ იტალიური გრანდი დიდ წინააღმდეგობას ვერ უწევს და თუ კაკა მადრიდში გადასვლას გადაწყვეტს (რასაც ბრაზილიურ-ესპანური გაზეთები დაბეჯითებით ამტკიცებენ), „მილანი“ ხელს ვერ შეუშლის. ბოლოს და ბოლოს, იგი 40 მილიონით მეტს მოიგებს ესპანეთის სატახტოში.

**ლადო ხომერიკი**

# მილანს კანავარო უნდა, ემერსონს კი — მილანი



ბერნდ შუსტერის „რეალში“ ცვლილებებს ჯერ კიდევ ელიან

AFP

**შარშან** ზაფხულს „იუვენტუსიდან“ „რეალში“ გადასულნი, ფაბიო კანავარო და ემერსონი, შესაძლოა, „მილანში“ აღმოჩნდნენ.

მართალია, კანავარო ამბობს, „რეილიდან“ არსად მივდივარო, მაგრამ იტალიური პრესის ცნობით, „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი მის გადაბირებას ცდილობს, რათა გადაბერებული და ტრავმებით გატანჯული დაცვა გააძლიეროს. რასაკვირველია, პატარა ბიჭი არც „სკუადრა აძურას“ კაპიტანია, მალე 34 წლისა გახდება, მაგრამ გამოცდილებისა და კლასის წყალობით ალბათ კიდევ 2-3 წელი შეძლებს მაღალ დონეზე თამაშს.

„აქ დარჩენა მინდა, რადგან მსოფლიოს საუკეთესო კლუბში ვარ და ჩემპიონთა ლიგის მოგება მსურს. ეს ერთადერთი ტიტულია, რომელიც მაკლია. სამწლიანი კონტრაქტი „რეალთან“ გავაფორმე და არა ფაბიო კაპელოსთან. ამიტომ არ მესმის, რადგან ის წავიდა, რატომ უნდა წავიდე მეც?! ამბობენ, თითქოს იტალიაში დაბრუნება მინდა, მაგრამ ასე არ არის“ — განუცხადა ფაბიო კანავარომ „მარკას“.

რაც შეეხება ემერსონს, მის შემთხვევაში საქმე ცოტა სხვაგვარადაა. ჯერ ერთი, „პუმას“ „რეალიდან“ წასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. მეორე კი, როგორც ჩანს, მას უფრო უნდა „მილანში“ გადასვლა, ვიდრე „მილანს“ მისი ყიდვა.

„ნახევარდაცვაში ოთხ ფეხბურთელს განვიხილავ — ფერნანდო გაგოს, მაჰამადუ დიარას, რუბენ დელა რედსა და ხოსე მარია გუტის. ყველასთვის ცნობილია, რომ ემერსონს შეუძლია, წავიდეს. კაპელომ იგი იმიტომ მოიყვანა, რომ განსაკუთრებული სტილის მოთამაშეა და თავის საქმეში ბრწყინვალეა, მაგრამ მე სხვანაირი სტილით ვაპირებ თამაშს. იმედია, მის ნაცვლად სხვა, უფრო შემქმნელ ფეხბურთელს დავიმატებთ“ — განაცხადა „რეალის“ ახალმა მწვრთნელმა ბერნდ შუსტერმა.

ემერსონი: „მზად ვარ, ყველა წინადადება განვიხილო. ფული ყველაფერი არ არის ცხოვრებაში. „რეალში“ რთული ვითარებაა. ასეთი პერიოდი მთელი კარიერის მანძილზე არ მქონია. ახლა მსოფლიოს უმდიდრეს გუნდში ვარ, მაგრამ „მილანი“ გაცილებით ორგანიზებულია. „როსონერი“ აწყობილი საათივითაა, როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ. „მილანში“ თამაში ყველას უნდა“.

**გიორგი ძაძაგაძე**

# ვალენსიამ ელგერა გამოაჩინა



**ივან ელგერა** ოფიციალურად გახდა „ვალენსიას“ ფეხბურთელი.

„ძალიან მიხარია, აქ რომ გადმოვედი. „ვალენსია“ დიდი გუნდია, თავისი სიძლიერე ჩემს ყოფილ კლუბთან, მადრიდის „რეალთან“ მატჩებში მრავალგზის დაამტკიცა. ვიცი, რომ „ვალენსიას“ საოცარი ფანობა ჰყავს, რამაც ასევე მოახდინა გავლენა ჩემს გადაწყვეტილებაზე“ — განაცხადა ელგერამ „ლამურათა“ გუნდში თავის პრეზენტაციაზე.

32 წლის მცველი კიკე სანჩეს ფლორესის გუნდში სამი სეზონის განმავლობაში ითამაშებს. „რეალიდან“ „ვალენსიაში“ ელგერა თავისუფალი აგენტის სტატუსით მივიდა — ვეტერანი ახალი მწვრთნელის, ბერნდ შუსტერის გეგმებში აღარ შედიოდა და მადრიდელებმაც თავიანთ ყოფილ მოთამაშეს გუნდიდან წასვლა გაუადვილეს.

„მადლობას ვუხდით ივან ელგერას ჩვენთან თამაშის დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და თავგანწირვისთვის“ — ეწერა „რეალის“ ვებგვერდზე.

ელგერამ კი „მარკასთან“ ინტერვიუში განაცხადა: „რეალი“ გრანდია, მაგრამ „ვალენსიაც“ ესპანეთისა და ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. მინდა, რომ ტიტულები აქაც მოვიგო“.

წარმოშობით კანტაბრიელი მცველი შვიდსეზონიანი შესანიშნავი ეპოქის შემდეგ ტოვებს „რეალს“. ელგერა ამ გუნდში 1999-2000 წლების სეზონში მივიდა და სამჯერ ესპანეთის ჩემპიონობა, ორჯერ ჩემპიონთა თასი, ორჯერ ესპანეთის სუპერთასი, ევროპის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო. იქამდე კი ივან ელგერა „ალბასეტეში“, „რომასა“ და „ესპანიოლში“ იყო.

ელგერას ძველი მადრიდელი თანაგუნდელის, ფერნანდო მორიენტესის გვერდით მოუწევს თამაში.

**ლადო ხომერიკი**

## ფაულერი კარდიფში გაჩერდა

**„ლივერპულისა“** და ინგლისის ნაკრების ყოფილი ფორვარდი რობი ფაულერი მეორე დივიზიონის „კარდიფში“ გადავიდა. 32 წლის ფეხბურთელმა, ვისაც „ლივერპულის“ მაისურით 171 გოლი გაუტანია, უელსურ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ფაულერს ავსტრალიური „სიდნეი“ ეპატიჟებოდა და ერთი კვირა გაატარა სიდნეიში, მაგრამ ვერ მოურიგდა.

## იანგის ბორო

**„მიდლსბრომ“** 2 მილიონ 500 ათასი გირვანქა გადაიხადა „ჩარლტონის“ მცველ ლუკ იანგში. 28 წლის ფეხბურთელს 200-ზე მეტი მატჩი უთამაშია „ჩარლტონში“, რომელიც წინა სეზონში პრემიერლიგიდან გავარდა.

იანგი 2001 წლამდე „ტოტენჰემში“ იყო და 4 მილიონად მიჰყიდეს ჩარლტონელებს.

## ვილტორდი საწყისს დაუბრუნდა

**„ლიონის“** მეგოლე ნახევარმცველი სილვენ ვილტორდი „რენმა“ იყიდა. მას წინა სეზონში ურთიერთობა წაუხდა კლუბის შეფებთან, რადგან რამდენჯერმე ვარჯიში გააცდინა და იქ დარჩენა აღარ უნდოდა. ამიტომაც წავიდა გუნდში, სადაც კარიერა დაიწყო.

„რენმა“ „ნიცადან“ მცველი როდ ფანიც შეიძინა და ოთხი მილიონი ევრო გადაიხადა.

## სროლა ფეხბურთის გამო

**აზიის** თასის მეოთხედფინალში ვიეტნამის დამარცხებით გახარებულმა ერაყის ნაკრების ფანებმა ბაღდადში სროლა ატეხეს. სამი დაიღუპა და 50-მდე დაიჭრა დედაქალაქში მომხდარი არეულობის გამო.

ბაღდადის პოლიციის განცხადებით, ქომაგები მატჩის დასრულებისთანავე გამოიშალნენ ქუჩაში და სროლა ატეხეს.

## დირექტორი ზაჰოვიჩი

**სლოვენიის** ნაკრების ყოფილი ფორვარდი ზლატკო ზაჰოვიჩი „მარიბორის“ სპორტულ დირექტორად დანიშნეს. მან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და კაბინეტში 1 აგვისტოს შევა.

ზაჰოვიჩმა მარიან პუშნიკი შეცვალა, რომელიც იმავდროულად მთავარი მწვრთნელი იყო.

სლოვენიელ თავდამსხმელს „პარტიზანში“, „პორტუში“, „ოლიმპიაკოსში“, „ვალენსიასა“ და „ბენფიკაში“ უთამაშია, ნაკრებში კი 35 გოლი გაუტანია.

## ანელკას ბრემენი ეპატიჟება

**„ბოლტონის“** ფრანგმა ფორვარდმა ნიკოლა ანელკამ მომავალი სეზონი, შესაძლოა, ბრემენის „ვერდერში“ დაიწყოს. „მუსიკოსები“ თავდამსხმელს მას შემდეგ ეძებენ, რაც მიროსლავ კლოზე „ბაიერნს“ მიჰყიდეს.

„ბოლტონის“ შეფობა თანახმაა, გაყიდოს 28 წლის ფრანგი, თუ „ვერდერი“ სათანადო თანხას გადაიხდის.

## რომედალი აიაქსში

**ამსტერდამის** „აიაქსმა“ დაადასტურა, რომ „ჩარლტონიდან“ დენის რომედალი იყიდა და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. დანიელმა ნახევარმცველმა პრემიერლიგაში სამი სეზონი გაატარა, მანამდე კი პსვ-ში და „ვალვაიკში“ უთამაშია. მის სანაცვლოდ 2 მილიონი გადაიხადეს.

გარდა ამისა, „აიაქსმა“ ოფიციალურად გააცხადა უესლი სნეიდერის დარჩენის თაობაზე. 23 წლის ნახევარმცველი მომავალ სეზონში ისევ ჰოლანდიის ჩემპიონატში ითამაშებს.

**ვაჟა ხუციშვილი**



# ვის უნდა მხეცი?

მადრიდის „რეალში“ ფიქრობენ, ბრაზილიელი ჟულიო ბაპტისტა სარფიანად გაასხვისონ. „მხეცმა“ „კოპა ამერიკაზე“ შესანიშნავად ითამაშა და რამდენიმე კლუბი დააინტერესა.

მისი შეძენის მთავარი მსურველი „მილანია“, რომელიც მზადაა, 15 მილიონი ევრო გადაიხადოს. ესპანური „ლას პროვინსიასი“ კი აცხადებს, რომ ბაპტისტა „ვილიარეალსაც“ აინტერესებს. ამ გაზეთის ცნობით, „რეალი“ და „ვილია“ მოლაპარაკებებს აწარმოებენ, შუამავალი კი ცნობილი ურუგვაელი აგენტი ხუან ფიგერია, ვინც მალე „რეალის“ სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩს შეხვდება, რათა ფინანსური დეტალები დააზუსტოს.

ამბობენ, რომ „ყვითლები“ კასტილიელებს 10 მილიონ ევროს შესთავაზებენ.

„ვილიარეალის“ შეთავაზება „მილანისას“ ჩამოუვარდება, თუმცა ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, რომელ კლუბს მიანიჭებს უპირატესობას „რეალი“.

ლადო ხომერიკი

# ეს ჩვენი არგენტინელები
## კალდერონმა რიკელმე გამორიცხა

„რეალის“ პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა, რომელმაც რამდენიმე დღის წინ საქმიანი ვიზიტით ამერიკის შეერთებული შტატები და არგენტინა მოიარა, განაცხადა, რომ ხუან რომან რიკელმე მის სატრანსფერო სამიზნეზე არასდროს ყოფილა. მადრიდული კლუბის თავკაცმა არგენტინაში ისიც თქვა, გუნდი უკვე შეივსო და ახალი ფეხბურთელების შემატებას აღარ ვაპირებთო. თუმცა, როგორც ცნობილია, „რეალი“ ჰოლანდიელების, არიენ რობენისა და დრენტეს ყიდვითაა დაინტერესებული.



კალდერონი ბუენოს აიერსის მახლობლად მდებარე საფეხბურთო სკოლას ეწვია. იქ ჟურნალისტებმა რიკელმეს შესაძლო მადრიდელობაზე ჰკითხეს.

„რიკელმეს შეძენით არასდროს დავინტერესებულვართ. გუნდი უკვე საკმარისად შეივსო. იმ პოზიციაზე კი, სადაც რიკელმე თამაშობს, ფერნანდო გაგო გვყავს. საერთოდ, „რეალში“ სამი არგენტინელი ფეხბურთელია, რაც, ჩემი აზრით, საკმარისია. რასაკვირველია, ხუან რომან რიკელმეს ოსტატობას არავინ უწუნებს, მაგრამ იგი ჩვენი სამწვრთნელო შტაბის გეგმებში არ შედის“ — უპასუხა მან.

ცხადია, სენიორ კალდერონს არგენტინაში სტუმრობისას რეალელი ფერნანდო გაგოს, გონსალო იგუაინისა და ხავიერ სავიოლას შექება არ დავიწყებია.

„გაგო და იგუაინი ჩემპიონობის მოპოვებაში ძალიან დაგვეხმარნენ. იგუაინი მოედანზე ყოველთვის იქ იყო, სადაც საჭიროება მოითხოვდა. არგენტინელი ფეხბურთელებისვის დამახასიათებელი ვაჟკაცობით და ხასიათის სიმტკიცით უძნელესი სიტუაციების გადაწყვეტას ახერხებდა. გაგომ მოედნის ცენტრში თავისი ადგილი ნახა და „რეალის“ ერთ-ერთი მთავარი წევრი იქნება. სავიოლასგან კი ბევრს ველით. სულ 25 წლისაა და მისი გამოცდილება ვეტერანებსაც შეიძლება შეშურდეთ. სავიოლა დისციპლინირებული, მოწესრიგებული ადამიანია და შესანიშნავი ხასიათი აქვს, რასაც „რეალში“ დიდად ვაფასებთ. გარდა ამისა, „ბაჭია“ მოწოდებით მეგოლეა“ — თქვა კალდერონმა.

ლადო ხომერიკი

# იმპერატორის აღსარება
## ადრიანო საცოლეს შეურიგდა და ალკოჰოლს გაექცა



მილანის „ინტერის“ ბრაზილიელ ფორვარდ ადრიანოს ძალიან ემოციური და სევდიანი საუბარი გამოუვიდა „გაძეტა დელო სპორტთან“. „იმპერატორმა“ ილაპარაკა იმ მიზეზებზე, რის გამოც ხშირად არღვევდა დისციპლინას და სათანადოდ ველარ თამაშობდა.

25 წლის ადრიანო 2 წლის წინ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად ითვლებოდა, რომლისგანაც ბევრს ელოდნენ. მას მართლაც დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ ბოლო ორ, განსაკუთრებით წინა სეზონში საგრძნობლად უკლო.

„მამაჩემი ძალიან მენატრება. იგი 2004 წლის ზაფხულში გარდაიცვალა, მაგრამ უმისობა გვიან გავაცნობიერე. მამა მომაკვდავი ვერ ვნახე და დიდხანს მეგონა, რომ ისევ ცოცხალი იყო. ყველაზე მეტად მაშინ განვიცდი, როცა სამშობლოში შვებულებისას დავბრუნდი და იგი იქ არ დამხვდა. არადა, ძალიან მინდოდა, დაველაპარაკებოდი. შემდეგ ჩემს შეყვარებულს, დანიელას წავეჩხუბე, რომელიც ჩემგან ფეხმძიმედ იყო. დავიწყე ღამის კლუბებსა და კაფე-ბარებში სიარული. მივეძალე ალკოჰოლს და მეგონა, ყველა პრობლემას ამით მოვაგვარებდი. ძალიან ბევრს ვსვამდი და, ფაქტობრივად, საერთოდ არ მეძინა. სახლში ველარ ვჩერდებოდი, რადგან თავს მარტოსულად ვგრძნობდი“ — აღნიშნა „იმპერატორმა“.

ბოჰემურ ცხოვრების სტილზე გადართული ადრიანო სათამაშო ფორმიდან ამოვარდა. მან დააგვიანა „ინტერის“ ბევრ ვარჯიშზე, ზოგზე საერთოდ არც მივიდა და კონფლიქტი ჰქონდა მწვრთნელ რობერტო მანჩინისთან. თითქოს გადაწყვეტილი იყო, რომ „იმპერატორი“ ამ ზაფხულს გუნდს დატოვებდა, მაგრამ კლუბის პრეზიდენტ მასიმო მორატის მისდამი ნდობა არასდროს დაუკარგავს და ახლა ნაკლებ სავარაუდოა, ბრაზილიელმა გუნდი გამოიცვალოს.

ადრიანო: „ჩემი შვილი როგორც კი დაიბადა და თვალებში ჩავხედე, ყველაფერი ცუდი წარსულში დარჩა. მივხვდი, ცხოვრების ნორმალურ სტილს უნდა დავბრუნებოდი. ასეც მოხდა, დავიბრუნე ოჯახი, ჩემი შეყვარებული და მოვალეობები. ამისთვის დიდი მადლობელი ვარ მასიმო მორატის, რომელმაც მოთმინება გამოიჩინა და ბევრი რამ მაპატია. ბევრს ნიშნავს, როცა შენი პრეზიდენტი ყველაზე რთულ მომენტშიც კი ზურგს არ შეგაქცევს და შენი ეიმედება. მორატი ცდილობდა, თავი მარტოდ არასდროს მეგრძნო. ამისთვის მას სამაგიეროს გადავუხდი. მარტო გოლებით კი არა, ყველაფრით, რითაც შემეძლება“.

კოკი კანდელაკი



დავიდ ტრეზეგემ კონტრაქტი გააგრძელა, ალესანდრო დელ პიერომ — ჯერ არა

# იუვე ინტერს ისევ ემუქრება
## დელ პიერო არსად მიდის

ტურინის „იუვენტუსის“ მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა „ბებერი ქალბატონის“ სერია B-ში გატარებულ სეზონს განწმენდის წელი უწოდა. „სკუადრა ატურას“ მეკარის აზრით, სერია A-ში ამჟამად ყველაზე ძლიერი „ინტერია“, თუმცა, მისივე თქმით, „იუვე“ არავინ არ უნდა ჩამოწეროს — მილანელებს სიცოცხლეს გავუმწარებთო.

„ყველაფერს თავიდან, ნულიდან ვიწყებთ. განწმენდის წლის შემდეგ კვლავ სერია A-ში ვართ. მიხარია, რომ ჩვენი მეტოქეები კვლავ დიდი პატივისცემით გვეკიდებიან. ყველაზე ძლიერი გუნდი ახლა „ინტერია“. მილანელებს ყველაფერი აქვთ იმისთვის, რათა ზედიზედ მეორე სკუდეტი მოიპოვონ. არა, მოიცადეთ, ზედიზედ მესამე“ — ღიმილით აღნიშნა ბუფონმა.

შეგახსენებთ, რომ კალჩოპოლის სკანდალის შემდეგ სერია B-ში მინუს ქულებით დაქვეითების გარდა, „ბიანკონერის“ 2004-05 და 2005-06 წლების სეზონების სკუდეტოები ჩამოართვეს. 2005-06 წლების სეზონის ჩემპიონობა „ინტერს“ მისცეს და ჯიჯიმაც ამასთან დაკავშირებით იხუმრა.

ოპტიმისტურ განწყობაზეა კლაუდიო რანიერიც. „ბებერი ქალბატონის“ ახალ მწვრთნელს იმედი აქვს, რომ მისი გუნდი სერია A-ს ისტორიაში პირველი კლუბი გახდება, რომელიც სერია B-დან ამოსვლისთანავე სკუდეტოს მოიპოვებს.

„ჩემი შეგირდები ნამდვილი ჩემპიონები არიან. მათ გამარჯვებისკენ საოცარი სწრაფვა აქვთ და, უბრალოდ, მონაწილეობით ვერ შემოიფარგლებიან. ამ მომენტისთვის ვიცით, რომ ჩვენზე ძლიერი გუნდებიც არიან, ჩვენ სრულიად ახალი შემადგენლობა გვყავს, მაგრამ გასაძლიერებლად ვმუშაობთ. თანაც, დიდი თვითრწმენა და შემართება გვაქვს. ბიჭებს ერთი სული აქვთ, სერია A როდის დაიწყება, რათა კონკურენტებს შეერკინონ. განსაკუთრებული მებრძოლი სული ყოველთვის „იუვენტუსის“ საფირმო ნიშანი გახლდათ. ჩვენც და ჩვენი ფანებიც ვოცნებობთ სკუდეტოზე. რატომაც არა? ახლა „იუვე“ ისეთი ძლიერი არ არის, როგორც ორი წლის წინ, მაგრამ წარმატება გვწყურია“ — თქვა რანიერიმ.

ტურინელთა ვეტერან კაპიტანს ალესანდრო დელ პიეროს კი ეიმედება, რომ მალე ახალ კონტრაქტს გააფორმებს „იუვენტუსთან“ და კარიერასაც იმ კლუბში დაასრულებს, რომლის ღირსებასაც უკვე 14 წელია, იცავს.

შეგახსენებთ, რომ „ბიანკონერიმ“ უკვე გაახანგრძლივა კონტრაქტი ჯანლუიჯი ბუფონთან, პაველ ნედველთან, დავიდ ტრეზეგესა და მაურო კამორანეზისთან. 32 წლის დელ პიეროსთან ახალი შეთანხმების გაფორმებაზე კი ჯერ კონკრეტული არაფერი ისმის. მხარეებს შორის მოქმედ კონტრაქტს ვადა მომავალ ზაფხულს გასდის.

„არ ვღელავ და არ ვბრაზობ იმის გამო, რომ კლუბმა სხვა ფეხბურთელებთან კონტრაქტის გახანგრძლივება ჩათვალა პრიორიტეტულად. მე მაინც არსად მივდივარ და, მგონი, არც კლუბი მიშვებს, ტურინში ვრჩები. მწვრთნელი და ხელმძღვანელობა პატივს მცემს, ისევე, როგორც მე მათ. ასე რომ, მოლაპარაკება არ უნდა გაგვიჭირდეს. კვლავ ძალიან შემართული ვარ. მინდა, ვითამაშო და საუკეთესო ვიყო. ბევრი ამბობს, რომ 90 წუთი თამაში აღარ შემიძლია, მაგრამ ეს ტყუილია“ — განაცხადა ალექს დელ პიერომ.

გიორგი კაკაბაძე

# ინტერტოტოს თასი 2007

## მესამე ეტაპი. პირველი მატჩები

გლორია (რუმინეთი) 2:1 ატლეტიკო (ესპანეთი)
ოცელული (რუმინეთი) 2:1 ტრაბზონსპორი (თურქეთი)
ჩერნო მორე (ბულგარეთი) 0:1 სამპდორია (იტალია)
ჩერნომორეცი (უკრაინა) 0:0 ლანსი (საფრანგეთი)
დაჩია (მოლდოვა) 1:1 ჰამბურგი (გერმანია)
გენტი (ბელგია) 1:1 ოლბორგი (დანია)
რაპიდი (ავსტრია) 3:1 რუბინი (რუსეთი)
ტობოლი (ყაზახეთი) 1:0 ოფი (საბერძნეთი)
ჰამარბი (შვედეთი) 0:0 უტრეხტი (ჰოლანდია)
ჰაიდუკი (სერბეთი) 1:0 ლეირია (პორტუგალია)
ვეტრა (ლიტვა) 0:2 ბლექბერნი (ინგლისი)

*საპასუხო მატჩები 28-29 ივლისს გაიმართება*



„სამპდორიამ" ბულგარეთში ავტოგოლით მოიგო

## შვეიცარია

### სუპერლიგა. I ტური

გრასჰოპერი — სენტ გალენი 2:0; ლუცერნი — ქსამაქსი 1:1; აარაუ — იანგ ბოისი 1:1; ბაზელი — ციურიხი 1:0. თუნი — *სიონი გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ბაზელი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| იანგ ბოისი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| აარაუ | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ქსამაქსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლუცერნი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| თუნი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| სიონი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ციურიხი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სენტ გალენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

### ჩელენჯლიგა. I ტური

გოსაუ — ვოლენი 1:4; ლოკარნო — შო დე ფონი 1:0; შაფჰაუზენი — კონკორდია 1:0; ვილი — ჩამი 2:2; ივერდონი — ლოზანა 1:0; დელემონი — ვინტერთური 2:3; ლუგანო — ბელინცონა 0:4; სერვეტი — კრიენსი 1:3. *ვადუცი — კიასო გადაიდო*

## ჩილე

### კლაუსურა. I ტური

ატლეტიკო — პუერტო მონტი 2:1; პალესტინო — ლოტა 2:2; უნივ. კონსეპსიონი — უნივ. დე ჩილე 1:1; ო ჰიგინსი — ევერტონი 2:0; ლა სერენა — უნიონ ესპანიოლა 2:1; უაჩიპატო — კოკიმბო 2:1; ანტოფაგასტა — კობრელოა 2:0; *სანტიაგო — უნივ. კათოლიკა და აუდაქს იტალიანო — კობრესალი წუხელ გვიან დამთავრდა*

## ბრაზილია

### სერია A. XIII ტური

ამერიკა — ატლ. პარანენსე 2:1; ჟუვენტუდე — ინტერნასიონალი 2:0; ვასკუ და გამა — ატლ. მინეირო 4:0; კორინთიანსი — ნაუტიკო 0:3; კრუზეირო — სან პაულუ 1:2; ფლუმინენსე — გოიასი 3:0; გრემიო — ფლამენგო 1:0. *პარანა — პალმეირასი, სანტოსი — ფიგეირენსე და სპორტ რესიფე — ბოტაფოგო წუხელ გვიან დამთავრდა*

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XIV ტური

სანდეფიორდი — ლინი 3:1; ბრანი — სტაბეკი 3:0; ფრედრიკსტადი — ლილესტრიომი 0:0; ოდ გრენლანდი — სტრიომსგოდსეტი 0:1; სტარტი — ალესუნდი 1:2; რუსენბორგი — ვიკინგი 4:2. *ვოლერენგა — ტრომსიო დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრანი | 14 | 9 | 2 | 3 | 28:23 | 29 |
| სტაბეკი | 14 | 8 | 4 | 2 | 22:16 | 28 |
| ლილესტრიომი | 14 | 7 | 4 | 3 | 22:12 | 25 |
| ვიკინგი | 14 | 7 | 3 | 4 | 25:21 | 24 |
| რუსენბორგი | 14 | 6 | 4 | 4 | 28:21 | 22 |
| ლინი | 14 | 6 | 3 | 5 | 27:22 | 21 |
| სტრიომსგოდსეტი | 14 | 6 | 3 | 5 | 18:21 | 21 |
| ფრედრიკსტადი | 14 | 4 | 6 | 4 | 21:21 | 18 |
| ტრომსიო | 13 | 5 | 1 | 7 | 20:22 | 16 |
| ალესუნდი | 14 | 4 | 3 | 7 | 19:27 | 15 |
| ვოლერენგა | 13 | 3 | 4 | 6 | 9:14 | 13 |
| სტარტი | 14 | 3 | 4 | 7 | 18:24 | 13 |
| სანდეფიორდი | 14 | 3 | 3 | 8 | 15:25 | 12 |
| ოდ გრენლანდი | 14 | 3 | 2 | 9 | 15:18 | 11 |

### I დივიზიონი. XV ტური

მიოლდე — ლოვ ჰამი 4:1; ბოდიო გლიმტი — სპარტა 2:0; ბრინი — რაუფოსი 6:0; ჰამ კამი — ნოტოდენი 3:1; ჰაუგესუნდი — სოგნდალი 3:1; კონგსვინგერი — ჰიონეფოსი 3:0; სკიდი — მანდალი 2:2; ტრიომსდალენი — მოსი 5:1

## უნგრეთი

### ბორსოდი ლიგა. I ტური

ვაშაში — ტატაბიანია 3:1; ზალაეგერსეგი — პაკში 3:1; შიოფოკი — უიპეშტი 2:4; კაპოშვარი — შოპრონი 1:1; დიოშდიორი — დებრეცენი 1:2; რეაკი — ჰონვედი 0:3. *მტკ — ფერენცვაროში დღეს გაიმართება, სპარტაკუსი — დიორ ეტო კი ზეგ*

## აშშ

### MLS

### XVIII ტური

*ნიუ ინგლენდი — ჰიუსტონი, კოლუმბუსი — ტორონტო, ნიუ იორკი — ვაშინგტონი და კანზასი — კოლორადო წუხელ გვიან დამთავრდა*

## შვედეთი

### ალსვენსკა. XV ტური

იურგორდენი — ელფსბორგი 2:1. *ბრომაპოიკარნა — ტრელებორგი და ჰელსინგბორგი — აიკ დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ელფსბორგი | 16 | 8 | 4 | 4 | 23:16 | 28 |
| ჰალმსტადი | 14 | 8 | 3 | 3 | 22:14 | 27 |
| იურგორდენი | 15 | 8 | 3 | 4 | 21:13 | 27 |
| კალმარი | 14 | 8 | 1 | 5 | 21:13 | 25 |
| ჰამარბი | 14 | 6 | 3 | 5 | 20:14 | 21 |
| მალმიო | 14 | 5 | 5 | 4 | 17:13 | 20 |
| გიოტებორგი | 14 | 5 | 4 | 5 | 21:19 | 19 |
| ჰელსინგბორგი | 14 | 5 | 4 | 5 | 21:19 | 19 |
| გაის | 14 | 5 | 4 | 5 | 13:14 | 19 |
| გეფლე | 14 | 4 | 5 | 5 | 14:16 | 17 |
| აიკ | 14 | 4 | 4 | 6 | 11:16 | 16 |
| ბრომაპოიკარნა | 14 | 3 | 4 | 7 | 12:25 | 13 |
| იორებრო | 14 | 2 | 6 | 6 | 12:21 | 12 |
| ტრელებორგი | 15 | 3 | 2 | 10 | 14:29 | 11 |

### სუპერეტა. XV ტური

დეგერფორსი — სირიუსი 1:0; ატვიდაბერგი — სუნდსვალი 3:1; მიალბი — ლანდსკრონა 1:1. *ბანკეფლო — ჰეკენი, ენჩიოპინგი — ფალკენბერგი, ლიუნგსკილე — ნორჩიოპინგი, სილვია — იოსტერსი და იონკოპინგი — იორგრიტე დღეს გაიმართება*

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XVII ტური

დინამო 0:0 ამკარი

სპარტაკი 3:1 ზენიტი

1:0 პავლიუჩენკო (28), 1:1 არშავინი (45), 2:1 პავლიუჩენკო (61პ), 3:1 ბაჟენოვი (83)

სატურნი 0:0 ტომი

მოსკვა 3:1 კრილია

0:1 ტოფონოვი (2), 1:1, 2:1 ადამოვი (63, 64), 3:1 ბარიენტოსი (84)

როსტოვი 1:1 ლუჩ-ენერგია

0:1 ტიხონოვეცკი (12), 1:1 კალაჩევი (75)

ლოკომოტივი 1:2 ცსკა

0:1, 0:2 ვაგნერ ლავი (45, 48), 1:2 ივანოვიჩი (59)

ნალჩიკი 1:0 კუბანი

1:0 ჯახმიშევი (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 17 | 9 | 5 | 3 | 23:16 | 32 |
| ზენიტი | 17 | 8 | 6 | 3 | 27:22 | 30 |
| მოსკვა | 16 | 7 | 6 | 3 | 18:12 | 27 |
| დინამო | 17 | 7 | 5 | 5 | 21:15 | 26 |
| ცსკა | 17 | 6 | 7 | 4 | 20:16 | 25 |
| ლოკომოტივი | 17 | 6 | 5 | 6 | 21:22 | 23 |
| კრილია | 17 | 6 | 4 | 7 | 19:21 | 22 |
| ნალჩიკი | 17 | 5 | 6 | 6 | 15:18 | 21 |
| ტომი | 17 | 4 | 8 | 5 | 20:19 | 20 |
| ამკარი | 17 | 4 | 8 | 5 | 15:15 | 20 |
| რუბინი | 15 | 6 | 2 | 7 | 15:16 | 20 |
| ლუჩ-ენერგია | 17 | 5 | 5 | 7 | 16:18 | 20 |
| ხიმკი | 17 | 4 | 7 | 6 | 18:18 | 19 |
| სატურნი | 16 | 3 | 9 | 4 | 14:16 | 18 |
| კუბანი | 17 | 3 | 9 | 5 | 13:18 | 18 |
| როსტოვი | 17 | 1 | 8 | 8 | 12:25 | 11 |

## ავსტრია

### ბუნდესლიგა. III ტური

შტურმი — ლინცერი 4:0; აუსტრია — ზალცბურგი 2:2; ტიროლი — მატერსბურგი 2:2; პაშინგი — რიდი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რიდი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 |
| შტურმი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:2 | 5 |
| ზალცბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| მატერსბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ლინცერი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:5 | 4 |
| რაპიდი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| აუსტრია | 3 | 0 | 3 | 0 | 5:5 | 3 |
| პაშინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| ტიროლი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | 2 |
| ალტახი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:7 | 0 |

## ხორვატია

### I დივიზიონი. I ტური

ინტერი — რიეკა 0:1; ციბალია — ვარტექსი 1:0; მედიმურიე — ზაგრები 0:3; დინამო — შიბენიკი 5:0; ზადარი — ჰაიდუკი 0:0; ოსიეკი — სლავენი 1:0

## ამხანაგური მატჩები

### 21 ივლისი

ტიგრესი — სუვონი 3:0; ლოს ანჯელესი — ჩელსი 0:1; ჩესტერფილდი — ნოტინგემი 1:0; გრონინგენი — შეფილდ უენსდი 1:1; მოზერუელი — მილუოლი 1:1; სპარტა (როტერდამი) — დენ ბოსხი 2:0; გრეტნა — დარლინგტონი 2:0; კაიზერ ჩიფსი — ტოტენჰემი 1:2; ბარნეტი — კრისტალ პალასი 2:3; ბორნმუთი — საუთჰემპტონი 1:2; ბარნლი — მიდლსბრო 1:1; კემბრიჯი — პლიმუთი 1:2; კარლაილი — ნიუკასლი 1:1; კარლსტადი — მანჩესტერ სიტი 0:4; ფოლკირკი — რეინჯერსი 1:1; დორდრეხტი — ვალვაიკი 2:0; იგლსი — აიაქსი 0:1; ნაიმეგენი — ბრაგა 1:2; ნორთჰემპტონი — ქოვენთრი 1:1; სკანთორპი — სანდერლენდი 1:0; იოვილი — კარდიფი 0:2; ჰელმონდი — ლოკერენი 0:1; დენდერი — აალსტი 2:2; ლე მანი — სტანდარდი 2:0; მუსკრონი — ტურნუა 3:1; კაენი — ლორიანი 2:2; ლაციო — ვესტ ჰემი 2:0; არადი — რუზელარე 5:0; ბოხუმი — გალათასარაი 2:1; ბორდო — ნიცა 0:1; ნანსი — მონსი 1:1; ჰერენვენი — სივასფორი 3:3; სედანი — შარლერუა 0:0; სპარტა (პრაღა) — ფენერბაჩე 0:1; ვალანსიენი — ბეერსხოტი 0:0; ზულტე ვარეგემი — ტილბურგი 1:0; მეხელენი — გენტი 3:2; ვესტერლო — ექსელსიორი 1:1; მარსელი — ანდერლეხტი 4:2; პსჟ — არისი 1:0; პორტუ — მონაკო 2:1; სპორტინგი — ლილი 3:0; ბოლტონი — ლიონი 0:1

### 22 ივლისი

ლევერკუზენი — ალკმაარი 4:0; კარლ ცაისი — მაგდებურგი 2:1; ბოჰემიანსი — ვულვერჰემპტონი 1:1; დიუსელდორფი — ჰესენი 2:0; ბოლესლავი — ვოლფსბურგი 1:1; კიოლნი — გენჩლერი 0:0; დორტმუნდი — რომა 4:0; ეუპენი — სენტ ტრუიდენი 1:3; გენკი — მეცი 1:1; იუვენტუსი — ჩინეთის ოლიმპიური ნაკრები 4:0; ნანსი — ზამალეკი 0:0; ბრიუგე — ვალიადოლიდი 2:2. *შანხაი შენხუა — მანჩესტერი, ლიუბეკი — ჰანზა და კოტბუსი — ლიდსი დღეს გაიმართება*

## დანია

### სუპერლიგა. II ტური

ბრონდბიუ — ნორდსიელანდი 2:2; ვიბორგი — ესბიერგი 0:5; ლიუნგბიუ — რანდერსი 0:3; ორჰუსი — ოდენსე 0:2. *ჰორსენსი — მიდტიულანდი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესბიერგი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| რანდერსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| ნორდსიელანდი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ოდენსე | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ჰორსენსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ბრონდბიუ | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| მიდტიულანდი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ოლბორგი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| კოპენჰაგენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ორჰუსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| ლიუნგბიუ | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ვიბორგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |

## პოლონეთი

### სუპერთასი

ზაგლები 1:0 ბელხატუვი

## უკრაინა

### ვიშა ლიგა. II ტური

ტავრია — კარპატი 2:1; ზარია — მეტალისტი 3:2; ნაფტოვიკი — შახტარი 0:3; ხარკოვი — დნიპრო 1:2; კრივბასი — მეტალურგი (ზ) 0:1; ზაკარპატია — ვორსკლა 0:0; დინამო — არსენალი 2:2. *მეტალურგი (დ) — ჩერნომორეცი ზეგ გაიმართება*

## ევროპის 2007 წლის U-19 ჩემპიონატი

### A ჯგუფი. III ტური

პორტუგალია 2:0 ავსტრია
ესპანეთი 0:0 საბერძნეთი

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| საბერძნეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| ავსტრია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

### B ჯგუფი. III ტური

სერბეთი 2:3 გერმანია
რუსეთი 0:0 საფრანგეთი

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:5 | 7 |
| საფრანგეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 5 |
| სერბეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 10:10 | 3 |
| რუსეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:9 | 1 |

### ნახევარფინალი

24 ივლისი

საბერძნეთი — გერმანია
საფრანგეთი — ესპანეთი

## მსოფლიოს 2007 წლის U-20 ჩემპიონატი

### მატჩი მე-3 ადგილისთვის

ავსტრია 0:1 ჩილე

### ფინალი

ჩეხეთი 1:2 არგენტინა

## აზიის თასი 2007

### მეოთხედფინალი

*იაპონია* 1:1დ.დ.(პენ.4:3) ავსტრალია
*ერაყი* 2:0 ვიეტნამი
ირანი 0:0დ.დ.(პენ2:4) *სამხ. კორეა*
*ს. არაბეთი* 2:1 უზბეკეთი

## სლოვაკეთი

### I ლიგა. II ტური

სენეცი — ნიტრა 0:1; დუბნიცა — რუჟომბეროკი 0:0; ტრენჩინი — ბანსკა ბისტრიცა 0:3; ტრნავა — კოშიცე 5:1; მორავცე — სლოვანი 1:0; ჟილინა — არტმედია 1:0

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. XV ტური

იარო — ვაასა 0:1; ოულუ — ჰონკა 3:3. *კტპ — ვიიკინგიტი და ლაჰტი — მარიეჰამნი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 13 | 9 | 2 | 2 | 20:14 | 29 |
| ტურკუ | 14 | 7 | 2 | 5 | 25:19 | 23 |
| მიუპა | 13 | 6 | 4 | 3 | 17:10 | 22 |
| ჰკა | 12 | 6 | 3 | 3 | 16:13 | 21 |
| ჰონკა | 12 | 5 | 5 | 2 | 19:13 | 20 |
| იარო | 13 | 5 | 3 | 5 | 17:15 | 18 |
| ვაასა | 15 | 4 | 6 | 5 | 13:22 | 18 |
| ჰიკ | 13 | 3 | 8 | 2 | 16:16 | 17 |
| კტპ | 12 | 4 | 2 | 6 | 16:16 | 14 |
| ლაჰტი | 12 | 4 | 2 | 6 | 15:15 | 14 |
| ინტერი | 13 | 3 | 4 | 6 | 15:14 | 13 |
| ვიიკინგიტი | 11 | 3 | 2 | 6 | 10:15 | 11 |
| ოულუ | 13 | 2 | 5 | 6 | 12:22 | 11 |
| მარიეჰამნი | 12 | 1 | 6 | 5 | 6:13 | 9 |

## ირლანდია

### პრემიერლიგა. XIX ტური

გალვეი — ბრეი 0:1; უოტერფორდი — სლიგო 1:2; ბოჰემიანსი — დერი 0:0; ლონგფორდი — დუბლინი 1:0; კორკი — დროჰედა 0:0. *შემროკი — სენტ პატრიკსი დღეს გაიმართება*

## სლოვენია

### I ლიგა. I ტური

ფაქტორი — ნაფტა 1:0; პუბლიკუმი — პრიმორიე 2:1; დრავა პტუი — მარიბორი 1:3; კოპერი — ივანჩნა გორიცა 2:0; ნოვა გორიცა — დომჟალე 1:1


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგესლაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ფირუზიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე
გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკმაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბაჩო კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვილი, ლია ბეხელაშვილი, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი


სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00


რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge